საჯარო ბიბლიოთეკა მარქსის სახ. თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 145 (10231) | სამშაბათი, 21 ივნისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი საბჭოთა ტანკერ „ტუაფსეს" დაკავების გამო (მე-2 გვერდი).
საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა მშვიდობის მსოფლიო ასამბლეაზე (მე-2 გვერდი).
ი. გობეჩია. — როცა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას არ აფასებენ (მე-2 გვერდი).
რ. ქურციკიძე. — მგზნებარე რევოლუციონერი (მე-2 გვერდი).
ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ სვერდლოვსკში (მე-3 გვერდი).
ჯავაჰარლალ ნერუ სვერდლოვსკიდან გაემგზავრა (მე-3 გვერდი).
ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ ლენინგრადს ჩავიდა (მე-3 გვერდი).
ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ ლენინგრადში (მე-3 გვერდი).
ბ. თათარიშვილი. — ქართული ბალეტის ოსტატები ეკრანზე (მე-3 გვერდი).
დ. პაიჭაძე. — თავმინებებული კოლმეურნეობა (მე-3 გვერდი).
ვ. მ. მოლოტოვი სან-ფრანცისკოში ჩავიდა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

პარტიული ორგანიზაციები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით შრომობს სოციალისტური მრეწველობის და უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. მტკიცედ იბრძვიან რა სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების განუხრელი ზრდისათვის, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა აღწევენ განუწყვეტელ ტექნიკურ პროგრესს მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში. სახალხო მეურნეობა ყოველ წელს იღებს მრავალ ათასობით ახალ მანქანებს, სრულყოფილ მოწყობილობას. ჩვენი დიადი ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე მარტო შარშან დაინერგა 900 ათასზე მეტი გამოგონება, ტექნიკური გაუმჯობესება და რაციონალიზატორული წინადადება.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობა შექმნეს იმისათვის, რომ მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები აუმჯობესებდნენ დანადგარების არსებულ კონსტრუქციებს, იგონებდნენ ახალ, უფრო გაუმჯობესებულ მანქანებსა და მექანიზმებს, შემოქმედებითი ცვლილებანი შეჰქონდეთ ტექნოლოგიურ პროცესებში. ამავე დროს საჭიროა გავამრავლოთ ჩვენი ძალები და შემოქმედებითი ენერგია მოქმედი საწარმოებისა და არსებული ტექნიკის სწორად გამოყენების საქმეში. აქ ჩვენ ჭეშმარიტად დაუშრეტელი რეზერვები გვაქვს. მათი სწორად გამოყენება ნიშნავს იმას, რომ არსებული საწარმოო სიმძლავრეებით მივცეთ სახალხო მეურნეობას გაცილებით მეტი პროდუქცია.

ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე ტექნიკური პროგრესისათვის პარტიული ორგანიზაციების მტკიცე ბრძოლის ცოტა მაგალითი როდი გვაქვს. ბევრი საწარმოს პარტიული ორგანიზაცია ინიციატივას იჩენს ტექნიკის გაუმჯობესების გზების ძიებაში, მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა თანამშრომლობის ორგანიზაციაში, შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებასა და წარმოებაში უახლესი ტექნოლოგიის დანერგვაში. მაგალითად, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია განუწყვეტლივ ზრუნავს წარმოებაში ტექნიკური პროგრესისათვის. აქ პარტიულ კრებებზე ხშირად განიხილავენ კონკრეტულ საწარმოო საკითხებს, სახავენ საქმიან ღონისძიებებს და ქმედითი დახმარების შედეგად აღწევენ ახალ საწარმოო გამარჯვებებს. ქარხანაში დადგმულია ორი სპეციალური ჩარხი მანქანათა რთული კონტურების დეტალების გაზით ავტომატური ჭრისათვის. 11 დეტალის გადაყვანამ გაზით ჭრაზე 9 ათასზე მეტი მანქანა-საათით შეამცირა დრო, რომელიც საჭიროებოდა ჩარხებზე დეტალების დამუშავებას. საწარმოში დაინერგა მთელი რიგი სხვა სიახლეებიც, რომლებმაც შეამცირა დეტალების მექანიკური დამუშავების დრო, ლითონის დანაკარგები. კვების მრეწველობისათვის მანქანათა 35 სახეობის დეტალის დამზადებაზე მანქანური ყალიბების გამოყენებამ საშუალება მისცა საწარმოს სამნახევარჯერ გაედიდებინა მათი გამოშვება, 25 პროცენტით შეემცირებინა ლითონის დანაკარგები, ამასთან შრომის ნაყოფიერება გაედიდებინა 40 პროცენტით.

საწარმოთა გამართული, რიტმული მუშაობის, პროდუქციის გამოშვების გადიდების, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების უმნიშვნელოვანესი პირობაა წარმოებაში ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა, რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელება და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება. ყოველივე ეს კარგად აქვს შეგნებული ქუთაისის აბრეშუმკომბინატის პარტიულ კომიტეტს, რომელიც თავის სხდომებზე ხშირად განიხილავს საწარმოო საკითხებს. პარტიული ორგანიზაციის ხელშეწყობით მრავალი რაციონალიზატორული წინადადება განხორციელდა ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ტექნიკური გაუმჯობესებითა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით კომბინატმა მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია მიიღო. ყველაზე საყურადღებოა კომკავშირელი მექანიკოსის ა. ტოფაძის მიერ დამზადებული ახალი კონსტრუქციის მანქანა კოჭებიდან ძაფის შულოებად აღდგენისათვის. მანქანა ერთდროულად ამოძრავებს ექვსი შულოს დამხვევ ჯარას. ა. ტოფაძის ეს მანქანა, რომელიც წელიწადში კომბინატს 27.600 მანეთის ეკონომიას აძლევს, რამდენიმე თვის წინათ დაინერგა წარმოებაში. აგრეთვე საყურადღებოა ს. კიკვაძის მიერ შექმნილი ძაფის ამოსაღები ავტომატური დაზგა და პარკის სახარშავი ავტომატი. ამ მანქანების გამოყენება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ხამი აბრეშუმის ძაფის ხარისხს, საგრძნობლად შეამცირებს მუშახელის რაოდენობას.

მოწინავე საწარმო სხვაც ბევრია ჩვენს რესპუბლიკაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრგან ტექნიკური გაუმჯობესების, მანქანა-დანადგარების მაქსიმალურად გამოყენების, მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელების, გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვის საქმეში მთელ რიგ საწარმოებს სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ. მაგალითად, ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის შედეგად მიმდინარე წლის ხუთ თვეში აჭარის ფოლადთუჯის სამსხმელო ქარხანამ გამოუშვებული პროდუქციის 7 პროცენტი წუნის სახით იზარალა. ასევე ცუდად მუშაობს მე-7 სამკერვალო ფაბრიკა. აქ განხორციელებულია კონვეიერიზაცია, მაშასადამე, ძირითად საწარმოო ოპერაციათა სრული მექანიზაცია. იმის გამო, რომ ამ ახალი ტექნიკის ათვისება და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის უნარიანად გამოყენება ვერ შეძლეს, მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში 200 ათას მანეთზე მეტი თანხის ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს.

ამას წინათ გამართულ თბილისის სამრეწველო საწარმოთა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების თათბირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოწინავე საწარმოებშიც კი ჯერ კიდევ ყველაფერი როდი კეთდება ტექნიკური პროგრესისათვის.

რა არის იმის მიზეზი, რომ ასე ნელა ინერგება მოწინავე საწარმოთა და წარმოების ნოვატორთა გამოცდილება? უწინარეს ყოვლისა ის, რომ სამრეწველო საწარმოების, ტრესტების, კომბინატების, მთავარი სამმართველოებისა და სამინისტროების ზოგიერთ ხელმძღვანელს წარმატებებმა შეუქმნა თვითდამშვიდების, ყოყოჩობის მავნე განწყობილება, რაც შეუფერებელი და უცხოა საბჭოთა ადამიანებისათვის. საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ღრმად შეისწავლონ, განაზოგადონ და გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება, იბრძოლონ იმისათვის, რომ ყოველივე საუკეთესო, პროგრესული ფართოდ ვრცელდებოდეს და ინერგებოდეს პრაქტიკაში.

ტექნიკური პროგრესისათვის შეუპოვარი ბრძოლა პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება, რასაც მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება ანიჭებს, ებრძოლონ რუტინას, კონსერვატიზმს ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეში, აღმოფხვრან ტექნიკური აზრის მოდუნება, დაუცხრომლად დაუჭირონ მხარი ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს. მათი მოვალეობაა განაზოგადონ წინადადებანი, რომლებიც შეაქვთ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, იბრძოლონ მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისათვის წარმოებაში.

პარტიული ორგანიზაციების ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის იმ დიდი ამოცანების წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომლებიც დასახეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის.

მოსკოვიდან ლენინგრადს სანაოსნო გზით

ლენინგრადის სამდინარო ნავსადგურში

ლენინგრადი, 18 ივნისი. (საქტასი). მოსკოვიდან ლენინგრადის სამდინარო ნავსადგურში ჩამოვიდა ჩქარი სატვირთო თბომავალი „დვინა". ეს ორმოცდამეათე სატრანზიტო გემია, რომელიც აქ ჩამოვიდა მიმდინარე ნავიგაციაში. ამ გემით ერთი პარტია მსუბუქი ავტომობილები ჩამოიტანეს ლენინგრადელებისათვის.

ლენინგრადში სამდინარო გზებით მოდის აგრეთვე ნაძვის ხე მრეწველობისათვის, საშენი მასალები და სხვა ტვირთები.

ნავსადგურის მუშაკები ცდილობენ აინაზღაურონ დრო, რომელიც ნავიგაციის დაწყების დაგვიანებით დაეკარგათ, და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ სატრანზიტო ტვირთების გაგზავნის სადღეღამისო დავალებებს. ივნისის გრაფიკს ხუთი დღით გაუსწრეს.

ს ა ბ ჭ ო თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დ ღ ე

★ ★ ★

პარტიის მოწოდებით

სამწლიანი რესპუბლიკური პარტიული სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა, მსმენელთა და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი დიდი ერთსულოვნებით გამოეხმაურა პარტიისა და მთავრობის მოწოდებას კოლმეურნეობების ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცების შესახებ.

სოფლად სამუშაოდ წასვლის სურვილი ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა მესამე კურსის მსმენელმა, ლენინის ორდენოსანმა ვ. ხაბეიშვილმა. მან განაცხადა: — პარტიულ სკოლაში შესვლამდე მუშაობა მიხდებოდა სოფლად, სადაც საკმაო პრაქტიკული გამოცდილება შევიძინე. პარტიულ სკოლაში დავეუფლე მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას და საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკას. დიდი სურვილი მაქვს პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად წავიდე კოლმეურნეობაში სამუშაოდ, მთელი ჩემი ცოდნა და გამოცდილება მოვახმარო სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლას.

კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე წასვლის სურვილი განაცხადეს აგრეთვე მესამე კურსის მსმენელებმა: ს. გულედანმა, ა. კოკოევმა, ვ. გოგინაშვილმა, ც. ლომიძემ, ფ. ალიევმა, ა. ბალათურიამ, დ. გასპარიანმა, შ. ავაქოვმა, ი. ლურსმანაშვილმა, ა. ქურასპედიანმა, ფ. დანელიამ, მ. ჯახაიამ, ბ. გაბრუაშვილმა, გ. პაპავამ, ლ. ქაბუკიანმა და სხვებმა.

მკა გაჩაღდა

ყვარელი. (საკ. კორ.). მდინარე შოროხევის მარცხნივ ახალსოფლის კოლმეურნეობის პურის ყანებია. მექანიზატორები შეუფერხებლად ამუშავებენ კომბაინებს, ბუნკერებიდან გადმოცლილი ხორბალი სწრაფად იგზავნება საველე საშრობებში. ნამჯა სპეციალური შემგროვებლებით გზებზე გამოაქვთ, კოლმეურნეები მის დაზვინვას არ აყოვნებენ.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ნ. ახოშვილი) თავთავიანი კულტურები 820 ჰექტარზე უთესია. აქ ყვარლის მტს-ის გამოცდილი კომბაინერები მუშაობენ. ვ. დაქიურიძის აგრეგატმა პირველი 20 ჰექტარი პური მომკა და ბუნკერიდან 380 ცენტნერი ხორბალი გადმოტვირთა. ს. ცირიკაშვილი „სტალინეც-6" მარკის კომბაინით მკის დღიურ დავალებას გადამეტებით ასრულებს. ზ. სამქუაშვილი თვითმავალ კომბაინს შეუფერხებლად ამუშავებს.

მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში კარგად მუშაობს ს. ბუთიაშვილის აგრეგატი. წითელწყაროელ მექანიზატორთა მაგალითისამებრ ბუთიაშვილმა 10 დღეში 300 ჰექტარის მომკა იკისრა.

ჰექტარზე 30 ცენტნერი ქერი

გარეუბნის რაიონის სოფელ თელეთის კოლმეურნეობას წელს პურეული ასალები აქვს 1.200 ჰექტარზე. უკვე დაიწყეს ქერის შერჩევითი აღება. თელეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომბაინერი ი. ჯამალაშვილი შეუფერხებლად ამუშავებს „სტალინეც-6" მარკის კომბაინს. მის მიერ აღებული ნაკვეთიდან თვითეულ ჰექტარზე 28-30 ცენტნერი ქერი ილეწება. ასეთი მოსავალი დიდიხანია არ ახსოვთ თელეთელებს.

ი. ჯამალაშვილის აგრეგატის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და იკისრა 10 სამუშაო დღეში პურეული მომკას 560 ჰექტარზე.

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

ბუქსმიმმართველების შეკეთება ორთქლმავლიდან მოუხსნელად

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა ერთ-ერთი დიდი სატრანსპორტო საწარმოა ამიერკავკასიის რკინიგზაზე. იგი მომსახურებას უწევს არა მარტო ამ გზას, არამედ რკინიგზის მრავალ სხვა მაგისტრალსაც, და ამიტომ მის გამართულ მუშაობას რკინიგზის ტრანსპორტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ვ. ევდოკიმოვი.

მრავალი ორთქლმავალი, კიდევ უფრო მეტი გაჯანსაღებული ვაგონი უნდა მისცეს ამ ქარხნის კოლექტივმა ყოველთვიურად რკინიგზას.

ორთქლმავლის გასაჯანსაღებლად დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულებაა საჭირო. ამ სამუშაოთაგან ზოგი დიდად შრომატევადია, მაგრამ მათი მექანიზაცია ტექნიკამ ჯერ ვერ შეძლო. ერთ-ერთ ასეთ შრომატევად სამუშაოდ დღემდე ითვლება ორთქლმავლის ბუქსების მიმმართველი ბუდის ანუ, როგორც მეორთქლმავლეები უწოდებენ, ბუქსმიმმართველების შეკეთება. ჩვენს ქარხანაში ბუქსმიმმართველების შესაკეთებლად გამოყოფილია ზეინკალთა ორი ბრიგადა. თითო ბრიგადა ყოველდღიურად ძლივს ასწრებს 5-6 ბუქსმიმმართველის შეკეთებას. ვინაიდან თვითეულ ორთქლმავალს 8-10 ბუქსმიმმართველი აქვს, ბრიგადები დაძაბული მუშაობითაც კი ზოგჯერ ვერ ახერხებენ იმდენი ბუქსმიმმართველის შეკეთებას, რომ ორთქლმავალთა აწყობის თვიური გეგმის შესრულება უზრუნველყონ.

თვითეული ბუქსმიმმართველის სიმძიმე 90 კილოგრამამდეა. მის მოსახსნელად საჭიროა 20 ქანჩის მოშვება, ბუქსის გამოღება, დიდძალი სხვა სამუშაოს შესრულება. არსებულ შეფასებათა მიხედვით თვითეულ ბუქსმიმმართველის მარტო მოხსნა ორთქლმავლის ზესადგრის ჩარჩოდან სახელმწიფოს 12 მანეთი უჯდება. ასეთი ხარჯიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ბუქსმიმმართველის გაკრიალების ტექნიკა არ იყო სრულყოფილი. გაკრიალებას, როგორც საერთოდ არის შემოღებული, ვახდენთ მბრუნავი სახეხი ქვით, რომელიც ერთი გავლით მხოლოდ 20-მილიმეტრიან ზოლს ამუშავებს. ზოლებს შორის ხარვეზების წასაშლელად იძულებული ვართ დამატებითი სამუშაოები შევასრულოთ.

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მიმართვის გაცნობამ აღმიძრა სურვილი — გამეკეთებინა რაიმე სამარჯვი ბუქსმიმმართველების შეკეთების გასაადვილებლად. ჯერ ვცადე ლითონსახეხი ქვის შეცვლა ლამბაქისებრი სახეხი ქვით, რომელიც ბრუნვითი გავლით ერთბაშად გააკრიალებდა ბუქსმიმმართველის ზედაპირს და ხარვეზებს არ დატოვებდა. ამ ცდამ კარგი შედეგი მომცა, მაგრამ ასეთი სახეხით ზედაპირის დამუშავება შესაძლებელი იყო ორთქლმავლის ზესადგრის ჩარჩოდან მოხსნილ ბუქსმიმმართველზე. აქ დამებადა აზრი გამეუმჯობესებინა ხელსაწყო, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ბუქსმიმმართველთან მოუხსნელად მიდგომა და ლამბაქისებრი სახეხით ზედაპირის გაკრიალება.

ეს იდეა გავაცანი ინჟინერ პ. მატიუხოვს და ვთხოვე დახმარება. მან, მართლაც, დიდი დახმარება გამიწია, წამახალისა, ხელი შემიწყო ხელსაწყოს გაკეთებაში. ბოლოს, როცა ეს ხელსაწყო საკუთარი ხელით გავაკეთე, ვცადე მისი გამოყენება. პირველ ხანებში ხელსაწყო ვერ აღმოჩნდა ისეთი, როგორიც სასურველი იყო. ინჟინერმა კი მომიწონა, მითხრა — პრინციპი მიგნებულია, ხოლო ხელსაწყოს გაუმჯობესება ადვილიაო.

რამდენიმე დღის შემდეგ ხელსაწყო გავაუმჯობესე და შევუდექი საცდელ მუშაობას, რამაც საუკეთესო შედეგი გვიჩვენა.

მრავალგზის საცდელი მუშაობისას სპეციალისტმა ინჟინრებმა დაადასტურეს, რომ ჩემი ხელსაწყოთი შეიძლება ბუქსმიმმართველების შეკეთება ორთქლმავლიდან მოუხსნელად. ეს შეამცირებს ორთქლმავლის შეკეთების ხარჯს, მოგვცემს ლითონის ეკონომიას, შესაძლებელს გახდის ბუქსმიმმართველების შემკეთებელთა შემცირებას და მათ გამოყენებას სხვა სამუშაოზე, დიდად დააჩქარებს ორთქლმავლის რემონტს და, რაც მთავარია, უზრუნველყოფს ბუქსმიმმართველის ხანგრძლივ შეუფერხებელ მუშაობას.

ჩემი ბრიგადა ახლა ბუქსმიმმართველების მოუხსნელად შეკეთებას ახდენს ჩემს მიერვე გაკეთებული ხელსაწყოთი. თუ წინათ მთელი ბრიგადა 5-6 ბუქსმიმმართველს აკეთებდა ერთ ცვლაში, ახლა ამ ხელსაწყოთი ორი კაცი ერთ ცვლაში 10 ცალს აკეთებს. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ჩემს მიერ გაკეთებული და კონსტრუირებული ხელსაწყო უხეში ნაკეთებია, მისი გამოყენება ისე ადვილი არ არის, როგორიც იქნება საქარხნო წესით დამზადებული ხელსაწყოს გამოყენება.

ახლა ჩვენი ქარხნის სპეციალისტებმა უკვე დაამუშავეს ჩემი ხელსაწყოს გასაკეთებელი ნახაზები და გადაწყვიტეს ორი ასეთი ხელსაწყო, ანუ მარტივი კონსტრუქციის ჩარხი გააკეთონ თვითონ ჩვენს ქარხანაში გამოსაყენებლად, ნახაზების პირები კი გაუგზავნონ სხვა ორთქლმავალშემკეთებელ საწარმოებს გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით.

ვ. ევდოკიმოვი,
ორთქლმავალთა ამწყობი ზეინკლების ბრიგადირი.

ფართოვდება მოსავლის აღების ფრონტი

გარდაბანი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). გუშინ გარდაბნელი მექანიზატორები ხორბლის მოსავლის აღებას შეუდგნენ. ამავე დროს მთავრდება ქერის მოსავლის აღება. გარდაბნის მტს-ის მოწინავე კომბაინერმა ალიხან ნასიბოვმა მოსავლის აღების პირველ დღეს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მომკა 20 ჰექტარი ხორბალი. იგი ჩაება შეჯიბრებაში მოსავლის აღების სამუშაოთა გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და ვალდებულება იკისრა 10 დღეში აიღოს ხორბალი 250 ჰექტარზე. სულ რაიონში ხორბალი აღებულ იქნება 3.900 ჰექტარზე.

მოსავლის აღებაში გარდაბნელ მექანიზატორებს დიდ დახმარებას უწევენ გორის რაიონის კომბაინერები. კომბაინები ჩამოვიდნენ გორის, შინდისისა და ახალსოფლის მტს-ებიდან. გარდაბნელებისათვის დახმარების გაწევის სურვილი გამოთქვეს მოწინავე კომბაინერებმა ნ. განჯელაშვილმა, ა. დონლუზაშვილმა, ფ. მაყიშვილმა, გ. მექვაბიშვილმა.

— ჩემი კომბაინი, — თქვა კომბაინერმა ნ. განჯელაშვილმა, — სანიმუშო მდგომარეობაშია. სიხარულით შევხვდი წინადადებას წამოვსულიყავი გარდაბნელების დასახმარებლად. დღეს დილით ჩემი ბრიგადით გავედი ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ყანაში და საღამომდე მოვმკე 20 ჰექტარი ხორბალი. ვიმუშავებ გვიან ღამემდე. ვალდებულებას ვკისრულობ 10 სამუშაო დღეში ავიღო 260 ჰექტარი.

სურათებზე: მარცხნივ — კომბაინერ ნ. განჯელაშვილის აგრეგატი ხორბალს იღებს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში; მარჯვნივ — ხორბლის გადმოტვირთვა კომბაინიდან.

ტექსტი და ფოტო ვ. გინზბურგისა.



პარტიის მოწოდებით

წითელწყარო. („კომუნისტის" კორ.). კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებამ კოლმეურნეობების კადრებით განმტკიცების შესახებ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა რაიონის საწარმო-დაწესებულებებში. კოლმეურნეობებში სამუშაოდ წასვლის სურვილი გამოთქვეს პარტიის რაიკომის მდივნებმა მტს-ების ზონებში ხ. მაჭავარიანმა, ხ. ხოსროშვილმა, ა. ბაღაშვილმა და ნ. მორდვინოვმა, რაიონულ გაზეთ „ახალი შირაქის" რედაქტორმა ი. მოლოდინმა, რაიმრეწკომბინატის დირექტორმა გ. გოძიაშვილმა, რაიკოოპკავშირის თავმჯდომარემ გ. მდივანმა და სხვებმა.

• • •

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტის კოლექტივის კრებაზე სიტყვით გამოსულმა მოძრაობის უბნის უფროსმა ნ. გუგუშვილმა განაცხადა:

— მე უკვე დიდი ხანია ვმუშაობ შახტში. გთხოვთ მომცეთ რეკომენდაცია კოლმეურნეობაში წასასვლელად. ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა გავამართლო მეშახტეთა კოლექტივის დიდი ნდობა.

პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად სოფლად მუდმივ სამუშაოდ წასვლის სურვილი გამოთქვეს აგრეთვე სტალინის სახელობის შახტის უფროსის მოადგილემ ი. გავრილიუკმა, მეხუთე უბნის მოწინავე მეშახტემ პ. დამენიამ, აზიბლარის შახტის სამთო ოსტატმა გ. ჟიბლაძემ და სხვებმა.

პირველი წარმატება

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა რკინიგზელის საკავშირო დღის შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გადიდებული ვალდებულებანი იკისრა.

დეპოელები თავდადებით იბრძვიან ამ ვალდებულებათა შესასრულებლად და უკვე გვიჩვენეს პირველი წარმატებები: აწევითმა საამქრომ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 2 ორთქლმავალი, ხოლო გარეცხვითი შეკეთების საამქრომ — 11. მემანქანეებმა ლ. გურასაშვილმა, რ. მელიქსეტიანმა, ს. ფარქოსაძემ და სხვებმა გადაიყვანეს რამდენიმე მძიმე წონის მატარებელი თვითეულმა, დაზოგეს დიდძალი საწვავი მასალა და სახელმწიფოს მისცეს რამდენიმე ათასი მანეთი ეკონომია.

წითელი კუთხე და რადიომიმღები ფერმაში

ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით ფერმაში მოეწყო წითელი კუთხე და დაიდგა რადიომიმღები.

წითელ კუთხეში დიდი რაოდენობით არის პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო, მხატვრული და სხვა სახის ლიტერატურა. ფერმის მწველავები და მწყემსები აქ სისტემატურად კითხულობენ ახალ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, ბროშურებს, კოლექტიურად ისმენენ რადიოგადაცემებს.

ვ. დოხნაძე.

ე რ თ ი ს ო ფ ლ ი ს ს ა ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო

გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახს კეთილმოწყობილი საავადმყოფო აქვს. ფართო და ნათელ პალატებში დადგმულია 30 საწოლი, მოწყობილია ფიზიოთერაპიული კაბინეტი.

საავადმყოფოს დიდ დახმარებას უწევს ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა. წელს კოლმეურნეობამ საავადმყოფო კაპიტალურად შეაკეთა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული 20 ათასი მანეთის ნაცვლად 50 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა.

თ. გოგიაშვილი.

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

წარმოების ხელმძღვანელთა ეკონომიური სწავლება

გორი. (საქ. კორ.). მუშაობა დაამთავრა პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მიერ ქალაქის საწარმოთა ხელმძღვანელებისათვის მოწყობილმა წარმოების ეკონომიკის შემსწავლელმა ერთთვიანმა სემინარმა. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები თემებზე: „მძიმე ინდუსტრია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების, ტექნიკური პროგრესის, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის საფუძველთა საფუძველია", „სსრ კავშირის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი", „პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზები", „საწარმოს საბრუნავი სახსრები", „შიდასაქარხნო დაგეგმვა და საწარმოს ტექნიკურ-საფინანსო გეგმა" და სხვ.

სემინარზე ლექციები წაიკითხეს გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორებმა, ქალაქის მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელებმა და პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაკებმა.

გაზეთის მუშაობის საკითხი რაიკომის ბიუროზე

ზუგდიდი. (საქ. კორ.). პარტიის რაიკომის ბიურომ იმსჯელა რაიონული გაზეთის „მებრძოლის" მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ გაზეთის ფურცლებზე არადამაკმაყოფილებლად შუქდება კომუნისტთა პოლიტიკური სწავლებისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხები, მცირე ადგილი ეთმობა საბჭოთა მშენებლობის და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის გაშუქებას. იშვიათად იბეჭდება წერილები სკკპ წევრობის კანდიდატებთან პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. არასაკმაო დახმარება ეწევა კედლის გაზეთებს. რედაქციას შემოკრებილი არა ჰყავს სოფლკორთა ფართო აქტივი.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი გაზეთის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

სასკოლო პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი

წყალტუბო. („კომუნისტის" კორ.). პარტიის რაიკომმა მოაწყო სასკოლო პარტორგანიზაციების მდივნების ერთდღიანი სემინარი. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები თემებზე: „სასკოლო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში", „პარტიული ორგანიზაციის როლი კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური მომზადებისა და საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ამაღლების საქმეში", „პარტიული ორგანიზაციის მუშაობა უპარტიო აქტივთან", „პარტიული ხელმძღვანელობა პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი", „პარტიული მეურნეობა" და სხვ.

როცა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას არ აფასებენ

გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობებში აგიტატორებად გამოყოფილია რვაასზე მეტი მასწავლებელი, აგრონომი, ექიმი, სოფლის მეურნეობის მოწინავე. მაგრამ, სამწუხაროდ, რაიონის ზოგ პარტიულ ორგანიზაციაში ჯეროვანი ყურადღება როდი ექცევა სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას. აგიტატორთა დიდი ნაწილი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, ფორმალურად ეკიდება მინდობილ საპატიო საქმეს. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები იშვიათად ამოწმებენ აგიტატორების მუშაობას, არ ეხმარებიან მათ, სისტემატურად არ განიხილავენ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებს. პარტიის გუდაუთის რაიკომი კი ამ საქმეში საკმაოდ არ ეხმარება პირველად პარტიულ ორგანიზაციებს.

სოფელ პრიმორსკის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას წელს ერთხელაც არ უმსჯელია პოლიტიკური აგიტაციის საკითხებზე. კოლმეურნეობაში საგიტაციო-მასობრივი მუშაობა თითქმის ჩაშლილია, აგიტატორების უმრავლესობა სრულ უმოქმედობას იჩენს. მათი საქმიანობის შესახებ არაფერი არ იცის პარტორგანიზაციის მდივანმა შ. ციკოლიამ. კოლმეურნეობაში იშვიათად იკითხება ლექციები, არ გამოსულა კედლის გაზეთის (რედაქტორი ხ. გრიცენკო) არც ერთი ნომერი, მოწყობილი არ არის საგაზეთო ვიტრინა და სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მაჩვენებლების დაფა, არ გამოდის საველე ფურცლები.

ცუდად მუშაობს აგიტკოლექტივი. იშვიათად იმართება აგიტატორთა სემინარები და თათბირები. რამდენიმე თვის წინათ აგიტატორად გამოჰყვეს მასწავლებელი, კომუნისტი პ. კაკინი. მაგრამ ამის შესახებ მან არაფერი იცის და ჯერჯერობით საგიტაციო მუშაობასაც არ ეწევა.

მოუმზადებლად და დაბალ დონეზე იმართება პარტიული კრებები. მიღებული დადგენილებები ზერელე და არაფრისმთქმელია. ამასთან არც პარტიული კრებების ოქმებს აფორმებენ წესიერად.

სოფლად ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლება დიდად არის დამოკიდებული პარტიის რაიკომის ინსტრუქტორზე მტს-ის ზონაში. ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნად სამ თვეზე მეტია აირჩიეს შ. ციკოლია. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას და დახმარებას საჭიროებდა, მაგრამ პარტიის რაიკომის ინსტრუქტორს მტს-ის ზონაში ს. ექსუზიანს რატომღაც ერთხელაც არ შეუწუხებია თავი იმისათვის, რომ მისულიყო ამ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციაში და სათანადო დახმარება გაეწია პარტიულ მუშაობაში გამოუცდელი მდივნისათვის.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ძალიან დაბალ დონეზე დგას სოფელ აცის მე-18 პარტყრილობის სახელობის და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში. აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები ო. მახარია და ხ. გაბნია იშვიათად აწყობენ აგიტატორების მეცადინეობასა და თათბირებს, არ ხდება აგიტატორთა გამოცდილების შესწავლა და განზოგადება. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადაში აგიტატორია სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე, კომკავშირელი ი. ბარციცი. იგი პოლიტიკურად მოუმზადებელია, სუსტად ერკვევა მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში, არ იცნობს ბრიგადის საწარმოო გეგმას. ერთ თვეზე მეტია ბრიგადაში არ ყოფილა და კოლმეურნეებთან საუბარი არ გაუმართავს.

თუ რა ცუდ გავლენას ახდენს საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ჩამორჩენა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობაზე, ამას მრავალი ფაქტი ცხადყოფს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ხ. აიბა, პარტორგანიზაციის მდივანი ხ. პანდარია) წელს შეუწყნარებლად ჩამორჩა სიმინდის თესვასა და თამბაქოს რგვაში.

კოლმეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა, ცალკეულ დღეებში არტელის მრავალი წევრი არ გამოდის სამუშაოზე. უკეთესი მდგომარეობა არც კოლმეურნეობა „კრასნოე აცშია" (თავმჯდომარე შ. ფაჩალია, პარტორგანიზაციის მდივანი კ. ბაზბა). აქაც ძალიან დაბალია შრომის დისციპლინა.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საგიტაციო-მასობრივი მუშაობა სოფელ ბარმიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (პარტორგანიზაციის მდივანი ა. მუკბა). მესამე ბრიგადის აგიტატორი, სასოფლო სამკითხველოს გამგე ზ. ციმცბა იშვიათად მართავს საუბრებს კოლმეურნეებთან.

სოფელ კალდახვარის კოლმეურნეობის მეორე, მესამე და მეხუთე ბრიგადის წევრებთან ნაკლებად მუშაობენ აგიტატორები თ. აგრბა, კ. ზარდანია და ა. ხამალიანი. კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ს. ჩაგავამ არ იცის მარცვლეულის წარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების კონკრეტული ამოცანები. კოლმეურნეობაში ცოტა როდია სოფლის მეურნეობის მოწინავე. ესენი არიან ნუნია გრვაფში, ნატალია ჩაგავა, ნადია ხიშბა, ხაიდ ამპარი, ტუჩკა ხაშიტი და სხვები. თხი თვის განმავლობაში თვითეულს 120-170 შრომადღე აქვს გამომუშავებული. მოსალოდნელი იყო, რომ პარტორგანიზაცია შეისწავლიდა მოწინავეთა მდიდარ გამოცდილებას და მას ყველა კოლმეურნის კუთვნილებად გახდიდა. მაგრამ ამისათვის აქ არ ზრუნავენ.

პარტიის გუდაუთის რაიკომის, საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციების ამოცანაა გადაჭრით გააძლიერონ პოლიტიკური აგიტაცია, დარაზმონ მასები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების პრაქტიკულად განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ი. გოგბერია,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

წულუკიძის რაიონში

ა. წულუკიძის ახალი ძეგლი ქ. წულუკიძის ბაღში. ფოტო ლ. კაკიტელაშვილისა.

• • •

სოფლის კეთილმოწყობა

ყოველწლიურად კეთილმოწყობილი ხდება სოფელი კუხი. სოფლის ცენტრში აღმართულია ორსართულიანი შენობა. მის პირველ სართულში მოთავსებულია სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კანტორა და საექიმო უბანი, ხოლო მეორე სართულში — სასოფლო საბჭო, ბიბლიოთეკა და კავშირგაბმულობის განყოფილება. შენობის წინ გაშენებულია დეკორაციული ბაღი, სადაც დადგმულია ი. ბ. სტალინის ძეგლი.

სოფელში არის საშუალო სკოლა, კლუბი, სავაჭრო მაღაზია, სასადილო, პურის საცხობი. სოფელი რადიოფიცირებულია, მისი ცენტრი განათებულია ილიჩის ნათურებით. წელს გათვალისწინებულია სოფლის მთლიანი ელექტროფიკაცია.

სავაჭრო ქსელის გაფართოება

რამდენიმე დღის წინათ მუშათა კოოპერატივმა ჩაის ფაბრიკისა და ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთათვის გახსნა კეთილმოწყობილი სავაჭრო მაღაზია და სასადილო.

რაიონის ცენტრში კაპიტალური შეკეთების შემდეგ გაიხსნა უნივერმაღი, რომლის კეთილმოწყობაზე 270 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა.

მალე დამთავრდება კოოპკავშირის უნივერსალური საწყობის მშენებლობა და სოფელ კონტუათის მაღაზიის რეკონსტრუქცია.

მოწინავე სასოფლო კლუბი

რაიონში არსებობს 12 სასოფლო კლუბი, 4 სამკითხველო, 8 სასოფლო ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკები.

თავისი მუშაობით გამოირჩევა წითელი ვარსკვლავის სასოფლო კლუბი, რომელსაც შემოკრებილი ჰყავს აქტივი. აქტივისტები ხელმძღვანელობენ კლუბთან ჩამოყალიბებულ აგრონომიულ, დრამატულ, ლიტერატურულ წრეებს.

აღსანიშნავია კლუბთან არსებული ბიბლიოთეკის მუშაობა. აქ საკმაოდ არის სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა. ბიბლიოთეკას 219 მკითხველი ჰყავს, მათი უმრავლესობა კოლმეურნეებია.

გ. გეგუჩაძე.

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი საბჭოთა ტანკერ „ტუაფსეს" დაკავების გამო

18 ივნისს სსრ კავშირის საელჩომ ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საელჩო იმოწმებს 1954 წლის 24 ივნისის, 2 და 19 ივლისის, ა. წ. 25 და 31 მარტის წარდგინებებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი საბჭოთა ტანკერ „ტუაფსესა" და მისი ეკიპაჟის უკანონოდ დაკავების გამო, რომელიც გაიტაცეს 1954 წლის 23 ივნისს ღია ზღვაში, კუნძულ ტაივანის სამხრეთით, და სსრ კავშირის მთავრობის დავალებით აცხადებს შემდეგს.

საბჭოთა მთავრობა მიაპყრობდა შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღებას იმას, რომ საჭირო იყო მიეღო ღონისძიებანი ტანკერ „ტუაფსეს", მისი ტვირთისა და ეკიპაჟის დაუყოვნებლივ დაბრუნებისათვის. ამასთან საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებდა, რომ წყლებს, სადაც მოხდა საბჭოთა ტანკერზე თავდასხმა, მთლიანად უწევენ კონტროლს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალები, რის გამო შეერთებული შტატების მთავრობას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა საბჭოთა ტანკერ „ტუაფსეს" გატაცებისათვის.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დღემდე არ მიუღია ღონისძიებანი ტანკერ „ტუაფსესა" და მისი ეკიპაჟის წევრთა განთავისუფლებისათვის. უფრო მეტიც, როგორც ეს ამერიკის პრესის ცნობებიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალნი ცდილობენ ხელი შეუშალონ ტანკერ „ტუაფსეს" ეკიპაჟის დაბრუნებას სამშობლოში, ამასთან ამ უკანონო მოქმედებას ნიღბავენ იმის დამოწმებით, რომ მათ ეძლევათ „პოლიტიკური თავშესაფარი". პრესის ზემოაღნიშნული ცნობები დღემდე არ უარუყვია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

პოლონეთის გემის „პრეზიდენტ გოტვალდის" ეკიპაჟისაგან მიღებული ცნობებით, ტანკერ „ტუაფსეს" ეკიპაჟის წევრებისადმი მიმართავენ ძალადობასა და მუქარას აგდებას; ყოველივე ეს ხდება იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილონ მათი დაბრუნება სამშობლოში. ასეთი მოქმედება საბჭოთა ტანკერ „ტუაფსეს" ეკიპაჟის წევრების მიმართ, რომელიც გაიტაცეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების კონტროლსდაქვემდებარებულ წყლებში, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების უხეში დარღვევაა.

საბჭოთა მთავრობა პროტესტს უცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას საბჭოთა ტანკერ „ტუაფსესა" და მისი ეკიპაჟის მიმართ ზემოაღნიშნული მოქმედების გამო და მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დაუყოვნებლივ მიიღებს ღონისძიებებს ტანკერისა და მისი ეკიპაჟის განთავისუფლებისათვის".

საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა მშვიდობის მსოფლიო ასამბლეაზე

მშვიდობის მომხრეთა მეხუთე სრულიად საკავშირო კონფერენციაზე, რომელიც მაისში მიმდინარეობდა, არჩეულ იქნა საბჭოთა დელეგაცია მშვიდობის მსოფლიო ასამბლეაზე გასაგზავნად. მის შემადგენლობაში შევიდნენ საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო წრეების წარმომადგენლები.

დელეგატებს შორის არიან — მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი, მწერლები ა. ე. კორნეიჩუკი, ი. გ. ერენბურგი, ა. ა. ფადეევი, ა. ა. სურკოვი, კ. ა. ფედინი, ვ. ლ. ვასილევსკაია, აკადემიკოსები ა. ნ. ნესმეიანოვი, ვ. ა. ამბარცუმიანი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ზ. ა. ლებედევა, მ. ი. კოტოვი, ვ. გ. ბლაგონრავოვი, ი. ე. გლუშჩენკო, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ნ. ვ. პოპოვა, სსრ კავშირის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე მ. ვ. ნესტეროვი, კინორეჟისორი გ. ვ. ალექსანდროვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ვ. ობრაზცოვი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ა. ი. დენისოვი, საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ს. კ. რომანოვსკი, რელიგიური კულტების წარმომადგენლები — კრუტიცისა და კოლომნის მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ევანგელისტ ქრისტიან-ბაპტისტთა სრულიად საკავშირო საბჭოს გენერალური მდივანი ა. ვ. კარევი, ლუთერანული ეკლესიის (ესტონეთის სსრ) არქიეპისკოპოსი ი. ი. კიივიტი, მუფთი შაქირ ხიალეტდინოვი, რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნ. კ. გონჩაროვი, ჟურნალისტები ვ. პ. ტერეშკინი, ბ. რ. იზაკოვი, ნ. ი. კრიმოვა, კოლმეურნეობა „ზავეტი ილიჩა"-ს (კურგანის ოლქი) მემინდვრე ტ. ს. მალცევი, ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცის" (ლენინგრადი) ხარატი გ. მ. დუბინინი, გმირი დედა ა. გ. ბალაშოვა, კარელია-ფინეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ე. სუნი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი ა. ა. გუბერი, კომპოზიტორი დ. ბ. კაბალევსკი, ჟურნალის „მშვიდობის დასაცავად" რედაქტორი პ. ა. ვიშნიაკოვი და სხვა საზოგადო მოღვაწეები.

19 ივნისს საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა ჰელსინკს, რათა მონაწილეობა მიიღოს მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მუშაობაში, რომელიც 22 ივნისს იხსნება.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიწვევით ასამბლეაზე საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში გაემგზავრა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი.

ლენინგრადის ვაგზალზე საბჭოთა დელეგატები, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის დელეგატები, რომლებიც მატარებლით გაემგზავრნენ ჰელსინკს, გააცილეს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრებმა, მოსკოვის საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლებმა. (ტასი).

მგზნებარე რევოლუციონერი

ა. წულუკიძის გარდაცვალების 50-ე წლისთავის გამო

დღეს შესრულდა 50 წელი გამოჩენილი მარქსისტის, მგზნებარე რევოლუციონერის, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ალექსანდრე გრიგოლის-ძე წულუკიძის გარდაცვალებიდან.

თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის თავდადებული მებრძოლის ა. წულუკიძის გარდაცვალების წლისთავზე, 1906 წლის 25 ივნისს, მოწინავე წერილში ბოლშევიკური გაზეთი „ახალი ცხოვრება", რომელიც გამოდიოდა ი. ბ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით, წერდა:

„არიან ისეთი პირები, რომელთა სახელს პროლეტარიატი ვერ დაივიწყებს.

ისინი მოკვდნენ, ისინი სამუდამოდ დაგვშორდნენ, მაგრამ მათი წმინდა აჩრდილები თავს დაგვტრიალებენ და ყურში ჩაგვჩურჩულებენ: **იბრძოლეთ სოციალიზმისათვის!**

დიდება და სახელი მათს აჩრდილებს!

ისინი ჩვენთან აღარ არიან, ისინი სამარეში განისვენებენ, მაგრამ მათი მადლიანი სახეები, ეკლის გვირგვინით მორთული სახეები, ჩვენ წინ დგებიან და გვეუბნებიან: **იბრძოლეთ თავისუფლებისათვის!**

ისინი წავიდნენ, ისინი გაჩუმდნენ, მაგრამ მათი მიმკრთალი, ციხეში ჯდომით მისუსტებული ხმა ჯერ კიდევ ყურში გვიტრიალებს: **სისხლი აიდეთო!**

დიდება და სახელი მათ გამომაღვიძებელ ხმას!

ალექსანდრე წულუკიძე ასეთ პირებს ეკუთვნის და მას ვერ დაივიწყებს პროლეტარიატი".

გმირულ ბრძოლებში ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს ექსპლოატატორთა ბატონობა და უზრუნველყვეს თავისუფლებისა და სოციალიზმის გამარჯვება, რასაც მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა ა. წულუკიძემ.

ალექსანდრე წულუკიძე დაიბადა დაბა ხონში 1876 წლის 14 აგვისტოს. მან პირველდაწყებითი განათლება მიიღო მშობლების ოჯახში. 1891 წელს შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც დაჰყო 3 წელი. სწავლაში იჩენდა დიდ ნიჭს, უნარსა და შრომისმოყვარეობას.

1895 წელს ქუთაისში მუშაობას ეწეოდა „მესამე დასის" რევოლუციურ მარქსისტთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ მ. ცხაკაია, ს. კილაძე და სხვები. ა. წულუკიძე უკავშირდება ამ ჯგუფს და მისი აქტიური წევრი ხდება. 1896 წელს ა. წულუკიძე რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა თბილისსა და ბაქოში.

ერთი წლის შემდეგ ა. წულუკიძე მოსკოვს მიემგზავრება სწავლის განსაგრძობად. ის ეწყობა თავისუფალ მსმენელად მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ამავე დროს დიდი ინტერესით სწავლობს მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიას, ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიას, განსაკუთრებით კი მარქსისა და ენგელსის შრომებს.

ა. წულუკიძე მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ი. ბ. სტალინთან და ლ. კეცხოველთან ერთად სათავეში ჩაუდგა „მესამე დასის" რევოლუციურ მარქსისტულ ჯგუფს, რომელიც პრინციპულ და შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა „მესამე დასის" ოპორტუნისტული უმრავლესობის ანტიმარქსისტული შეხედულებების წინააღმდეგ მუშათა მოძრაობის რევოლუციური თეორიისა და პრაქტიკის ყველა ძირითად საკითხში. ა. წულუკიძე ი. ბ. სტალინთან და ლ. კეცხოველთან ერთად აწყობს მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებს, ეწევა პროპაგანდისტულ და ორგანიზატორულ მუშაობას, ხელმძღვანელობს მუშათა გაფიცვებს.

ლენინური „ისკრის" მოღვაწეობის ამ პერიოდში მყარდება მტკიცე კავშირი ლენინსა და ამიერკავკასიის მარქსისტულ ორგანიზაციას შორის, რომელიც შექმნეს ი. ბ. სტალინმა, ლადო კეცხოველმა და ა. წულუკიძემ. „ისკრის" გამოსვლისთანავე სტალინი და მისი თანამებრძოლები დგებიან ლენინის პოზიციებზე და ავითარებენ ენერგიულ მოღვაწეობას იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც ლენინურმა „ისკრამ" რუსეთის მარქსისტების წინაშე დააყენა.

ა. წულუკიძე იყო ღრმა მოაზროვნე მარქსისტი, მგზნებარე პროპაგანდისტი, შესანიშნავი პუბლიცისტი, თავდადებული რევოლუციონერი. თავისი რევოლუციური პათოსით ანთებული მოღვაწეობის ხანმოკლე მანძილზე მან მოგვცა ღრმაშინაარსიანი და შესანიშნავი ოსტატობით დაწერილი შრომები, წერილები, პროკლამაციები მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის, ეროვნულ საკითხებზე და კომუნისტური პარტიის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

ი. ბ. სტალინის დავალებით ა. წულუკიძე მიემგზავრება ჭიათურაში, სოხუმში, ქუთაისში რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდისათვის. 1901 წელს ის ჩადის ბათუმში, სადაც ეწევა დიდ პრაქტიკულ-პოლიტიკურ მუშაობას, ამხილებს ოპორტუნისტთა შემარიგებლობას. ბათუმში ა. წულუკიძე დაავადდა და იმავე წელს დაბრუნდა ქუთაისში. აქ იგი ა. ჯაფარიძესა და მ. ცხაკაიასთან ერთად ახალი ძალით აჩაღებს რევოლუციურ მოღვაწეობას. ამ პერიოდს ეკუთვნის რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა, რომელმაც მოიცვა მთელი გურია, სამეგრელო, იმერეთი და რაჭა.

1903 წელს გამოდის ა. წულუკიძის ცნობილი შრომა „ოცნება და სინამდვილე". ამ შრომაში ის სასტიკად ამხილებს სოციალ-ფედერალისტების ლიდერს, მარქსიზმის მტერს არჩილ ჯორჯაძეს, რომელმაც წამოაყენა მოღალატური თეორია ქართველი ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის ინტერესთა ერთიანობის შესახებ. კაპიტალიზმის ეს აპოლოგეტი დემაგოგიურად ამტკიცებდა, რომ თითქოს მოწინააღმდეგე კლასთა შორის ინტერესთა ერთიანობა გამომდინარეობდეს ეროვნული ერთიანობის, მისი განმტკიცებისა და აღორძინების ინტერესიდან. ა. წულუკიძემ მარქსიზმის მოძღვრებაზე დაყრდნობით მთელი სიმკვეთრით ამხილა ა. ჯორჯაძისა და მისი მომხრეების ეს უბადრუკი, გამცემლური აბდაუბდა და მთელი სიცხადით დაასაბუთა მარქსისტული დებულება იმის შესახებ, რომ ანტაგონისტურ კლასებს შორის „საერთო ნიადაგის" ძებნა პროლეტარიატის ინტერესებისადმი ღალატია, რომ შეუძლებელია მოწინააღმდეგე კლასების შერიგება, რომ ბრძოლა უნდა გადაწყდეს რევოლუციით, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით.

მარქსიზმის მტრები ცდილობდნენ რევიზია გაეწიათ მარქსიზმისათვის, დაემახინჯებინათ, უარეყოთ, გაეყალბებინათ იგი. ამ მხრივ განსაკუთრებული გააფთრებით იბრძოდნენ ქართველი მენშევიკები მათი ლიდერის ნ. ჟორდანიას მეთაურობით. ი. ბ. სტალინის დავალებით ა. წულუკიძე მიემგზავრება საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, ამხილებს მენშევიკებისა და სოციალ-ფედერალისტების გამცემლობას, ეწევა მათ წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას, განამტკიცებს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის რიგებს.

1904 წლის ბოლოს გამოდის ა. წულუკიძის შესანიშნავი შრომა — „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან", რომელშიც თვითეული მუშისათვის გასაგებად ჩამოყალიბებული და გაშუქებულია მარქსის გენიალური ნაშრომის „კაპიტალის" ძირითადი საკითხები. ეს შრომა თავისი ფორმით, აზრების დალაგების სიცხადით, სიღრმითა და ლოგიკური თანმიმდევრობით წარმოადგენს მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის ნიმუშს და ახლაც დიდი ინტერესით იკითხება.

1904 წელს ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ და გაფორმდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები საქართველოსა და ამიერკავკასიაში. რსდმპ კავკასიის კომიტეტის კონფერენციაზე, რომელიც 1904 წლის ნოემბერში შედგა, ა. წულუკიძე ი. ბ. სტალინთან ერთად გადაჭრით იცავდა მენშევიკებთან საბოლოო გათიშვის ლენინურ ხაზს, მათი ლიდერების იზოლაციის ხაზს. იგი ასევე მტკიცე თანმიმდევრობით იცავს ლენინისა და სტალინის წინადადებას პარტიის მესამე ყრილობის მოწვევის შესახებ. კონფერენციამ მიიღო დადგენილება მესამე ყრილობის მოწვევის შესახებ. ყრილობის მოწვევისათვის არჩეულ ბიუროში ი. ბ. სტალინთან ერთად ა. წულუკიძეც შევიდა. ამავე დროს იგი არჩეულ იქნა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტში და შევიდა ბოლშევიკური გაზეთის „პროლეტარიატის ბრძოლის" რედაქციაში.

როგორც ცნობილია, პერიოდი პარტიის მეორე ყრილობიდან მესამე ყრილობამდე იყო ლენინის, ბოლშევიკების შეურიგებელი ბრძოლის პერიოდი პარტიისათვის და პარტიულობისათვის.

ლენინმა მენშევიკების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში შეიმუშავა ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები, გამოსჭედა მისი კადრები. ლენინური „ისკრის" სკოლაში და მისი იდეებისათვის ბრძოლაში აღიზარდა პარტიის გამოჩენილი მოღვაწეთა მთელი პლეადა: ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი, მ. ი. კალინინი, ი. ვ. ბაბუშკინი, ნ. ე. ბაუმანი, ვ. ვ. კურნატოვსკი, ლადო კეცხოველი, ა. გ. წულუკიძე, ს. გ. შაუმიანი და სხვები.

1905 წლის 17 იანვარს მეფის პოლიციამ ა. წულუკიძე რევოლუციური მუშაობისათვის დააპატიმრა და მოათავსა მეტეხის ციხეში. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი შესანიშნავი წერილი „პაწია შენიშვნა დიდ საკითხზე". მასში მკვეთრად არის მხილებული ნ. ჟორდანიას ანტიმარქსისტული შეხედულებები პარტიის შექმნის საკითხებზე. ა. წულუკიძე მტკიცედ იცავდა ლენინის უკვდავ დებულებებს ახალი ტიპის პარტიის შექმნის, მისი პროგრამული, ტაქტიკური და ორგანიზაციული ერთიანობის შესახებ.

დაძაბულმა რევოლუციურმა მუშაობამ, პოლიციის მიერ გამუდმებულმა დევნამ, ციხემ საბოლოოდ შეარყიეს ა. წულუკიძის ჯანმრთელობა და ტუბერკულოზის გაძლიერებული პროცესის შედეგად იგი გარდაიცვალა 1905 წლის 21 ივნისს. ასე დაიფერფლა რევოლუციური ბრძოლის პოსტზე სახალხო საქმისათვის შეუდრეკელი მებრძოლი.

დიდი გულისტკივილითა და მწუხარებით შეხვდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელები თავიანთი ერთ-ერთი ხელმძღვანელის, დიდი სტალინის თანამებრძოლის ა. წულუკიძის უდროო სიკვდილს.

ა. წულუკიძემ მთელი თავისი მგზნებარე სიცოცხლე პროლეტარიატის საქმეს შესწირა, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული მშრომელი მასების სამართლიანი ბრძოლის გამარჯვების აუცილებლობაში, მარქსიზმის უკვდავი იდეების გამარჯვების აუცილებლობაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეამ, რომლისთვისაც ბრძოლას თავი შესწირა ა. წულუკიძემ, გაიმარჯვა. ჩვენი გმირი ხალხი, სახელოვანი კომუნისტური პარტია არასოდეს არ დაივიწყებენ მგზნებარე რევოლუციონერის — ა. წულუკიძის ნათელ ხსოვნას. ხალხისადმი თავდადებული სამსახურის მისი მაგალითი აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

რ. ჟურციკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ბალეტის ოსტატები ეკრანზე

გუშინ კინოთეატრებში მაყურებელმა პირველად ნახა ახალი ფერადი მხატვრული ფილმი „ქართული ბალეტის ოსტატები". ფილმში გადაღებულია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორი საუკეთესო დადგმა — ა. კრეინის „ლაურენსია" და გ. კილაძის „სინათლე".

ჩვენი მაყურებლისათვის კარგად არის ცნობილი დიდი დრამატურგის ლოპე დე ვეგას პიესა „ცხვრის წყარო". ეს ნაწარმოები მიძღვნილია ესპანელი გლეხების რევოლუციური ბრძოლის თემისადმი. თავისი იდეური და მხატვრული ღირსების გამო „ცხვრის წყარომ" ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე მტკიცედ მოიკიდა ფეხი საბჭოთა დრამატული თეატრების რეპერტუარში.

ა. კრეინის ბალეტი „ლაურენსია" ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს" მიხედვით არის შექმნილი. როგორც „ცხვრის წყაროს" გამარჯვება საბჭოთა დრამატული თეატრების სცენაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის სახელთან, ისე ბალეტ „ლაურენსიას" წარმატება ჩვენს სცენაზე პირველ რიგში განაპირობა საბჭოთა ბალეტის შესანიშნავი წარმომადგენლის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვახტანგ ჭაბუკიანის მაღალმა ქორეოგრაფიულმა ოსტატობამ.

იმ დიდმა ინტერესმა, რომელსაც ჩვენი მაყურებელი იჩენს ბალეტისადმი, იმ სიყვარულმა, რომელიც თავიდანვე დაიმსახურეს ქართული ბალეტის ოსტატებმა, მოითხოვა ბალეტ „ლაურენსიას" სცენიდან კინოეკრანზე გადატანის აუცილებლობა, რომ ხელოვნების ეს საინტერესო ნიმუში და მაღალი კლასის მისი შემსრულებლები უფრო ახლოს მისულიყვნენ ხალხთან, ყველა საბჭოთა მაყურებელთან.

გ. კილაძის ბალეტ „სინათლეს" საფუძვლად უდევს ქართული ხალხური ზღაპარი.

ორივე ბალეტმა კინოეკრანზე თავისებური ახსნა ჰპოვა. ფილმის მონაწილეებმა, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო ჯგუფმა და ორკესტრმა ეკრანზე კიდევ უფრო სრულყოფილად გამოავლინეს თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

სცენარის ავტორებს ფილმის პირველ ნაწილში ძირითადად გამოყვანილი ჰყავთ ლაურენსია, მისი საქმრო ფრონდოსო და კომანდორი. ამ სამ მოქმედ გმირს მიჰყავს მთელი ბალეტი. ლაურენსია და ფრონდოსო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხს წარმოადგენენ, ხოლო კომანდორი მჩაგვრელი კლასის — ფეოდალების ტიპიური წარმომადგენელია, რომელიც ეკრანზე გამოჩენისთანავე თავისი ბოროტებითა და აღვირახსნილობით საერთო ზიზღს იმსახურებს.

რეჟისორებს მოქმედება გადაუტანიათ პირდაპირ ბუნების წიაღში. მაყურებლის თვალწინ იშლება იშვიათი სილამაზის პეიზაჟი... ტყე, წყარო. თითქოს ბუნების ამ იშვიათ სილამაზეს ეჯიბრებიანო, ქართველი ქორეოგრაფები თავიანთ ოსტატობას უფრო აძლიერებენ და მაყურებელს უჩვენებენ საბჭოთა საბალეტო ხელოვნების ახალ და ახალ ნიმუშებს.

იმის გამო, რომ განსაზღვრულია კინოფილმის მეტრაჟი, ბალეტ „ლაურენსიიდან" სცენარის ავტორებს და რეჟისორებს ამოურჩევიათ ყველაზე მთავარი მომენტები, საუკეთესო ცეკვები, გზადაგზა გადაუადგილებიათ, შეუკვეციათ ისინი, მაგრამ ისე, რომ ცალკეულ მოქმედებათა შორის ორგანული კავშირი ძირითადად დარღვეული არ არის.

მაგრამ მარტო შესრულებით როდი ამოიწურება ვ. ჭაბუკიანის დამსახურება. მან როგორც ქორეოგრაფიის დიდმა ოსტატმა ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე და კინოფილმში ზღაპრული სპექტაკლი „სინათლე" რეალურ ცხოვრებას ორგანულად დაუახლოვა, უფრო სურათსა და ცეკვას აზრი და იდეა შთაუნერგა და ქართული ხალხური ცეკვების ფუძეზე კლასიკური ქორეოგრაფიის ოსტატურად დამყნობის შედეგად შექმნა სრულყოფილი და მომხიბვლელი სპექტაკლი.

კადრი ფილმიდან „ქართული ბალეტის ოსტატები".

საუცხოოდ არის გააზრებული და შესრულებული ეპიზოდები, რომლებიც ასახავენ ავთანდილის გამოქცევას ქვესკნელის სამეფოდან. განსაკუთრებით იგრძნობა ფილმის კომბინირებული გადაღების მაღალი ოსტატობა. ბალეტის ზღაპრულ სიუჟეტზე აგებული ცალკეული კადრები—ბოროტ სულებთან ავთანდილის ბრძოლის სურათები, ქაჯა-ქუხილის გონივრულად მოფიქრებული კადრები, ფერიების ცეკვები, ავთანდილის გაფრენა და მთელი რიგი სხვა ეპიზოდები, რომლებიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ გადაღების ტექნიკით, ბუნებრივობით, ოპერატორ ფ. ვისოცკის, მხატვართა ჯგუფისა და რეჟისორ შ. მანაგაძის მაღალ მხატვრულ გემოვნებაზე მეტყველებენ.

„ლაურენსიას" პირველი დადგმის გამო გაზეთი „ლენინგრადსკაია პრავდა" წერდა: „ვ. ჭაბუკიანმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა თავი როგორც ქორეოგრაფიის დიდმა ოსტატმა... ჭაბუკიანი ერთდროულად უმაღლესი კლასის აქტიორიც არის და დამდგმელიც. მოცეკვავე ბალეტმეისტერი ჭაბუკიანი დგამს ბალეტს ისე, როგორც ვიოლინოს დამკვრელი კომპოზიტორი წერს ხოლმე კონცერტს ვიოლინოსა და ორკესტრისათვის".

ეს სიტყვები შეგვიძლია გავიმეოროთ იმ მუშაობის დასახასიათებლადაც, რომელიც გასწია ვ. ჭაბუკიანმა კინოფილმ „ქართული ბალეტის ოსტატების" შესაქმნელად როგორც სცენარის ერთ-ერთმა ავტორმა, დამდგმელმა და შემსრულებელმა.

კინოფილმის მეორე ნახევარი დათმობილი აქვს გ. კილაძის ბალეტ „სინათლეს". ეს ბალეტიც კარგად არის ცნობილი ქართველი მაყურებლისათვის. იგი რვა წელიწადია იდგმება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. როგორც „ლაურენსიამ", ისე ბალეტმა „სინათლემ" კინოფილმში ერთგვარი ცვლილება განიცადა. აქ სცენარის ავტორებმა და რეჟისორებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი ავთანდილის სახის სრულყოფას, კეთილის ბრძოლას ბოროტთან, სინათლისას—სიბნელესთან.

მშვენიერია ვ. ჭაბუკიანი ბალეტის ყველა ეპიზოდში, მაგრამ შეუძლებელია აუღელვებლად უყურო იმ კადრს, სადაც ქორეოგრაფიის დიდი ოსტატი აგვირგვინებს თავის ბრძოლას სინათლისათვის, ხალხთა თავისუფლებისათვის.

გამარჯვებული ავთანდილი ჩირაღდნით ხელში ბრუნდება. ხალხი მიესალმება მას, როგორც განმათავისუფლებელს. ეკრანმა ფართო გასაქანი მისცა ვ. ჭაბუკიანს ბალეტის ზღაპრულ სიუჟეტზე დაყრდნობით ეჩვენებინა მგზნებარე ნიჭი, თავისი მხატვრული ინდივიდუალობა.

შეუძლებელია დაავიწყდეს მაყურებელს სინათლისათვის მებრძოლი ავთანდილის ახტომა და ფრენა, ვირტუოზული ტრიალი, ფრენის დროს ტანის მდგომარეობის მრავალგვარად შეცვლა. ვ. ჭაბუკიანი ეკრანზე გვევლინება, როგორც დაუშრეტელი ენერგიის, მაღალი გემოვნებისა და დიდი ტემპერამენტის მოცეკვავე.

ეკრანზე ახალი შემოქმედებითი წარმატებები უჩვენეს ქართული ბალეტის ოსტატებმა გ. წიგნაძემ, მ. ბაურმა, ზ. კაკალეიშვილმა. გ. წიგნაძემ ახალი შესანიშნავი დეტალებით შეავსო და კიდევ უფრო გააღრმავა ლაურენსიას მხატვრული სახე. მ. ბაური სხვა ცეკვებთან ერთად ბრწყინვალედ ასრულებს ვ. ჭაბუკიანის მიერ სრულიად ახლად გააზრებულ შირაზულ ცეკვას. ხოლო ზ. კაკალეიშვილი დიდი ტემპერამენტით განასახიერებს დავრიშის როლს ბალეტ „სინათლეში".

ფილმში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ აგრეთვე მოცეკვავეები რ. მაღლაშვილი და ტ. სანაძე, თ. ჭაბუკიანი კორდებალეტში გულმოდგინედ და დამაჯერებლად ასრულებს ბოშურ ცეკვას. კომანდორის როლს კარგად განასახიერებს ვ. ივაშკინი.

კინოსურათის მუსიკალური დახვეწილობა იმაზე მეტყველებს, რომ კომპოზიტორ ვ. ფალიაშვილს სერიოზულად უმუშავნია ფილმში შესული მუსიკალური ნაწილების ორგანული ურთიერთდაკავშირებისა და რედაქტირებისათვის.

მხატვრებს რ. მირზაშვილს და ს. ვაწაძეს შერჩეული აქვთ ისეთი ფერები, გარემო და სინათლე, რომლებიც ხელს უწყობენ ფილმის საერთო წარმატებას.

რამდენიმე შენიშვნა. ფილმის მეტრაჟის განსაზღვრულობამ ეტყობა ერთგვარად იმოქმედა ბალეტ „ლაურენსიას" ზოგიერთი დეტალის დაზუსტებაზე. კერძოდ, მკაფიოდ არ ჩანს ორი მოწინააღმდეგე ბანაკის — გლეხობისა და ფეოდალების დაპირისპირება. ამავე დროს ნაწილობრივ დივერტისმენტის ხასიათს ატარებს ლაურენსიასა და ფრონდოსოს ქორწილის სცენა. ერთი მომენტიდან მეორეში გადასვლის დროს ნაწილობრივ ხელოვნურობა იგრძნობა ბალეტ „სინათლის" ცალკეულ ეპიზოდებშიც.

ეს შენიშვნები ოდნავადაც ვერ ამცირებს ფილმის წარმატებას. მხატვრული კინოფილმი „ქართული ბალეტის ოსტატები" კინოსტუდია „ქართული ფილმის" სერიოზულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ბ. თათარიშვილი.

ახალი ფერადი მხატვრული ფილმი „ქართული ბალეტის ოსტატები". სცენარი ვ. ჭაბუკიანისა და ი. გელოვანის. რეჟისორები შ. მანაგაძე და ვ. ჭაბუკიანი. მთავარი ოპერატორი ფ. ვისოცკი, მხატვრები რ. მირზაშვილი და ს. ვაწაძე, თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „ქართული ფილმის" 1955 წლის გამოშვება.

თავმინებებული კოლმეურნეობა

ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბრის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში კარგად ხარობს ვაზი, სიმინდი, თამბაქო და სხვა კულტურები. აქ ყველა პირობაა საკოლმეურნეო დოვლათის გასამრავლებლად. სამწუხაროდ, ეს დიდი შესაძლებლობანი გამოყენებული არ არის.

რაიონში და თვით ამ კოლმეურნეობაში საკმაოდ ბევრს ლაპარაკობენ სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის საჭიროებაზე, მაგრამ პრაქტიკულად ცოტა რამ კეთდება დასახული ამოცანის განსახორციელებლად. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. რიჟვაძე და პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბ. აბულაძე სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ.

კოლმეურნეობის მუშაობის ადგილზე შემოწმებამ ცხადყო, რომ იგი ნამდვილად თავმინებებულია. მინდვრის სამუშაოთა ამ ცხარე დღეებში კოლმეურნეობის თავმჯდომარე რამდენიმე დღეა მთაში გაემგზავრა და არავინ იცის როდის დაბრუნდება იქიდან.

ვხვდებით აგროტექნიკის უხეშ დარღვევებს. სიმინდისა და თამბაქოს ნაკვეთებში სამუშაოები ძალიან დაბალხარისხოვნად არის შესრულებული, კოლმეურნეობის კანტორის წინ მეორე ბრიგადის ნაკვეთზე თამბაქო დარგულია წინასწარ დაუმუშავებელ ნიადაგში. ასეთივე მდგომარეობაა მეხუთე და მეექვსე ბრიგადებში. თამბაქოს ნიადაგის წინასწარ დაუმუშავებლობის გამო მთელ რიგ ნაკვეთებში პლანტაციებს მინდვრის მავნებლები ანადგურებენ.

ზოგ ადგილას გაკეთებულია საცალფეხო გზები, რის გამო ფუჭდება ახლად დარგული პლანტაცია.

მოუგვარებელია ჩითილების მორწყვა, ხოლო ზოგიერთ ბრიგადაში თამბაქოს პლანტაცია დაფარულია სარეველა ბალახებით. აღსანიშნავია ისიც, რომ კოლმეურნეობის ფერმის მახლობლად დაგროვილია 60-70 ტონა ნაკელი, მისი გატანისა და გამოყენებისათვის კი არავინ ზრუნავს, იქვე, ფერმის გვერდით არსებულ თამბაქოსა და სიმინდის ნაკვეთებში ან სულ არ შეუტანიათ ან მცირე რაოდენობით შეიტანეს ორგანული სასუქი.

მეორე ბრიგადის ნაკვეთში სიმინდი დაუფარცხავ ნიადაგში, ბელტებში დათესეს. აღმონაცენის სიმაღლე თითქმის 30 სანტიმეტრს აღწევს, მაგრამ დღემდე გაუმარგლავია. ამ სამუშაოს ის აძნელებს, რომ ნაკვეთებში დიდი ბელტებია. ასეთივე მდგომარეობაა მეშვიდე ბრიგადაში. ბრიგადირი მ. აბულაძე კი დამშვიდებულად აცხადებს: სადაც არის წვიმა მოვა და ბელტები თავისთავად დაიშლება.

თამბაქოს პლანტაციებსა და სიმინდის ნათესებს პირუტყვი ანადგურებს. ფერმის ახლოს დათესილი სიმინდი პირუტყვისაგან არის დაზიანებული. ჩამორჩა სიმინდისა და თამბაქოს პირველი თოხნა, პლანტაციაში აზოტის შეტანის სამუშაოები.

ჩამლილია მებოსტნეობის სამუშაოებიც. საგულისხმოა, რომ კოლმეურნეობაში რამდენიმე წელია გამოყოფილია ხულოს ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო ნაკვეთი, რისთვისაც აქ სპეციალურად მივლინებულია აგრონომი გ. ადამია. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. რიჟვაძე არ ზრუნავს მებოსტნეობის განვითარებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ შარშან გამოყოფილი ათი ჰექტარიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარემ საბოსტნე ფართობი თვითნებურად შეამცირა 6 ჰექტარამდე. აქედან დამუშავებულია მხოლოდ 4 ჰექტარი, დანარჩენი ჯერ არც კი მოუხნავთ.

კოლმეურნეობის გამგეობის უყურადღებობის მიზეზით მებოსტნეობის ბრიგადა დღემდე დაუკომპლექტებელია. ბრიგადაში მხოლოდ ათამდე კოლმეურნე მუშაობს. როგორც ირკვევა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ნაცვლად იმისა, რომ მიიღოს ზომები მებოსტნეობის — მეურნეობის ამ მაღალშემოსავლიანი დარგის განვითარებისათვის, მებოსტნეობის ბრიგადიდან მუშახელი სხვა სამუშაოზე გაჰყავს. გამგეობამ მებოსტნეობის ბრიგადირად შეარჩია მოხუცი კოლმეურნე ჰ. ბოლქვაძე, რომელიც საბოსტნე ნაკვეთიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით ცხოვრობს და იშვიათად მოდის სამუშაოზე.

კოლმეურნეობაში არ დაუწყიათ თამბაქოს საშრობების მშენებლობა და არსებულის რემონტი. წელს კი ასაშენებელია რამდენიმე ახალი და შესაკეთებელია ძველი საშრობები.

შექმნილი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად პირველადი პარტიული ორგანიზაციისა და მისი მდივნის ბ. აბულაძის უმოქმედობით აიხსნება. იგი ნაკლებად ზრუნავს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხისათვის და ვერ იყენებს გამგეობის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის უფლებას. ცალკეული კომუნისტები, მათ შორის ბრიგადირები მ. აბულაძე, ჰ. ბოლქვაძე, ი. აბულაძე, შ. მელაძე არ დგანან საკოლმეურნეო შრომის ავანგარდში. კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია იშვიათად და ამასთან ზერელედ განიხილავს საკოლმეურნეო წარმოების საკითხებს. მიმდინარე წლის 5 მაისს პარტიულ კრებაზე განიხილეს საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობა, მაგრამ საქმე არ გაუმჯობესებულა. ეს იმიტომ, რომ პარტიული ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს მიღებული დადგენილების შესრულებას. სუსტად მუშაობენ აგიტატორებიც. თუ რა ფორმალურად ეკიდება პარტიული ორგანიზაცია საკოლმეურნეო წარმოების საკითხების განხილვას, ეს ნათლად ჩანს შემდეგი ფაქტიდან: 12 აპრილს პარტბიურომ განიხილა მებოსტნეობის მდგომარეობის საკითხი და საქმე იმით დაამთავრა, რომ ბრიგადირს ჰ. ბოლქვაძეს დაავალა ორი დღის განმავლობაში გამოასწოროს მებოსტნეობაში არსებული ყველა ნაკლი.

სასილოსე კოშკების მშენებლობისათვის არავინ ზრუნავს. მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა თვითდინებაზეა მინდობილი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობაზე ყალბი ცნობების გადაცემასაც არ ერიდება. როგორც პარტიის ხულოს რაიკომში განაცხადეს, 20 მაისისათვის კოლმეურნეობის ცნობის მიხედვით დარგული იყო 8,5 ჰექტარი თამბაქო, ხოლო 5 დღის შემდეგ — 25 მაისს გადმოსცეს, დარგულია 9 ჰექტარი, 31 მაისს — 10,8 ჰექტარი. თავმჯდომარე ჯერ ცნობას აწვდის რაიონულ ორგანიზაციებს და შემდეგ ასრულებს სამუშაოებს.

კოლმეურნეობაში შექმნილ მდგომარეობას გულდამშვიდებით შესცქერიან რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. კოლმეურნეობის ახლანდელი თავმჯდომარე გასულ წელს კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი იყო. სუსტი მუშაობისა და თავმჯდომარესთან კონკლაობისათვის იგი მოხსნეს, მაგრამ ერთ თვეში რატომღაც ხელახლა აღადგინეს, ხოლო მიმდინარე წლის დასაწყისში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დააწინაურეს.

აღნიშნული კოლმეურნეობის ჩამორჩენა იმის შედეგიც არის, რომ რაიონის აგროსპეციალისტები იშვიათად დადიან კოლმეურნეობებში და ნაკლებად ამოწმებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ხარისხს. ეს მით უფრო საკვირველია, რომ კოლმეურნეობაზე თვეების განმავლობაში მიმაგრებული იყო რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ი. შავაძე.

ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას უნარიანი ხელმძღვანელი კადრებით გაძლიერება ესაჭიროება.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ სვერდლოვსკში

სვერდლოვსკი, 18 ივნისი. (საქდესი). დღეს დილით ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ და მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს ურალის სერგო ორჯონიკიძის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა. მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები მხურვალედ მიესალმნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრს.

სტუმრებმა დაათვალიერეს საწარმოს საამქროები. ახსნა-განმარტებას იძლეოდა ქარხნის დირექტორი გ. გლებოვსკი. ფასონსამსხმელო საამქროში ჯ. ნერუმ უყურა დიდი საყალიბო მანქანების მუშაობას, რომლებიც გაკეთებულია ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში. აქ იგი გაეცნო ქარხნის უხუცეს მსხმელს პ. ანტონოვს, რომელმაც ასზე მეტ მუშას შეასწავლა თავისი პროფესია.

სამჭედლო-საწნეხო საამქროში ჯ. ნერუ განსაკუთრებით დაინტერესდა საჭედი მანიპულატორებით, რომელთა კონსტრუქცია ეკუთვნის ქარხნის ნოვატორებს. ასეთ მანიპულატორს თვითონ მიაქვს მრავალტონიანი გავარვარებული ზოდები და აბრუნებს მათ ჭედვის დროს. ამ მექანიზმმა ბევრი ადამიანი გაათავისუფლა და გააადვილა მჭედელთა შრომა. ჯ. ნერუ ესაუბრა სახელგანთქმულ ურალელ მჭედელს ტ. ოლეინიკოვს და უყურა, როგორ მუშაობს წნეხი ათი ათასი ტონა წნევით.

ჯ. ნერუმ მექანიკურ საამქროებში უყურა მოსიარულე ექსკავატორის 14-კუბიანი ციცხვის აწყობას. სტუმრები დიდი ხნობით ჩერდებოდნენ დიდ უნიკალურ სარანდავ, შიდასახარატო, კარუსელურ და სხვა ჩარხებთან. ქარხნის ტერიტორიაზე მუშები ყველგან მქუხარე ტაშითა და მისასალმებელი შეძახილებით ხვდებოდნენ ჯ. ნერუს.

საამქროების დათვალიერების შემდეგ სტუმრები ესაუბრნენ საწარმოს დირექტორს გ. გლებოვსკის. მან უამბო სტუმრებს ქარხნის ისტორია, უამბო, თუ რა პროდუქციას უშვებს იგი მეტალურგიული, ქვანახშირის, ნავთობისა და მძიმე მრეწველობის სხვა დარგებისათვის.

ჯ. ნერუმ ბევრი შეკითხვა მისცა გ. გლებოვსკის. კერძოდ, იგი დაინტერესდა შრომის ანაზღაურებით, დაზღვევის სისტემის, დასვენების ორგანიზაციის, მუშათა ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებით, საბინაო მშენებლობით. ჯ. ნერუმ აგრეთვე იკითხა, ამზადებს თუ არა ქარხანა მოწყობილობას მეტალურგიული კომბინატისათვის, რომელიც ინდოეთში შენდება. გ. გლებოვსკიმ უპასუხა, რომ ურალის მანქანათმშენებელი ქარხანა სხვა მანქანათმშენებელ საწარმოებთან კოოპერაციით დიდ დაკვეთებს ასრულებს ინდოეთისათვის და, კერძოდ, ამზადებს ბლუმინგს, რელს-კოჭის დგანს, ბრძმედებისა და მარტენის ღუმელების მოწყობილობას.

საუბრის დასასრულს ქარხნის დირექტორმა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს უძღვნა მოდელი მოსიარულე ექსკავატორისა, რომელიც 7-10 ათასი მუშის საქმეს ასრულებს, ქარხნის ძირითადი საამქროებისა და პროდუქციის სურათების ალბომი, ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის მარკიანი ნიშნები.

ქარხნის საპატიო სტუმართა წიგნში ჯ. ნერუმ შემდეგი ჩაწერა: „ჩვენთვის ფრიად საინტერესო და საგულისხმო იყო ამ მშვენიერი ქარხნის დათვალიერება. დირექტორმა გვიჩვენა დიდი მანქანები და გვიამბო, თუ როგორ მუშაობენ ისინი. ამისათვის მისი მადლობელი ვართ".

შემდეგ ინდოელმა სტუმრებმა დაათვალიერეს ქარხნის მუშა ქალიშვილების საერთო საცხოვრებელი და ბინაზე ეწვივნენ მეფოლადე დ. სიდოროვსკის, ტექნიკოს გ. იუშკოვს და საამქროს უფროსს პ. ლევანდოვსკის. ჯ. ნერუ ყოველ ოთახში შედიოდა, ესაუბრებოდა მცხოვრებთ. მან ჰკითხა მეფოლადე დ. სიდოროვსკის:

— შვილები გყავთ?

— ორი, — უპასუხა მან. — ვაჟი მეათე კლასში გადავიდა, ქალიშვილი პედაგოგიურ ინსტიტუტს ამთავრებს.

ურალის გეოლოგიის მუზეუმში სტუმრებმა დაათვალიერეს მსოფლიოში უმდიდრესი მინერალების კოლექცია. ჯ. ნერუმ შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „ეს მშვენიერი მუზეუმია. იგი საინტერესოა ყოველი ადამიანისათვის, განსაკუთრებით მისთვის, ვისაც გეოლოგია უსწავლია. რადგან სტუდენტობის დროს გეოლოგიას ვსწავლობდი, იგი დიდად საინტერესოა ჩემთვის. ჩემთვის სასურველი იქნებოდა გულმოდგინედ შემესწავლა აქ თავმოყრილი მადნეულის ნიმუშთა მშვენიერი კოლექცია".

შემდეგ სტუმრები ეწვივნენ პიონერთა სასახლეს. ჯ. ნერუ ინტერესით ათვალიერებდა ოთახებს, რომლებიც მოხატულია ხალხური ზღაპრების მოტივებით. ნორჩმა პიონერებმა უჩვენეს ჯ. ნერუს მათ მიერ გაკეთებული მოდელი ატომური ელექტროსადგურისა.

დღეს სვერდლოვსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ი. მურავიოვმა საუზმე გამართა ჯ. ნერუს პატივსაცემად. საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საღამოს სვერდლოვსკის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში დიდი კონცერტი გაიმართა ინდოელი სტუმრების პატივსაცემად.

ქალაქ სვერდლოვსკს გაეცნო აგრეთვე ინდოელი ჟურნალისტების ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობს. სვერდლოვსკის პრესის მუშაკებმა საუზმე გამართეს ინდოელი კოლეგების პატივსაცემად.

ჯავაჰარლალ ნერუ სვერდლოვსკიდან გაემგზავრა

სვერდლოვსკი, 19 ივნისი. (საქდესი). დღეს დილით სვერდლოვსკიდან ლენინგრადს გაფრინდნენ ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ და მისი თანმხლები პირები.

აეროდრომზე ჯავაჰარლალ ნერუ გააცილეს სვერდლოვსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ნ. მურავიოვმა, სვერდლოვსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ი. ზიკოვმა, პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ა. მ. კუტირიოვმა, პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა მ. ი. კუზინმა და ურალის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საწარმოების მრავალმა წარმომადგენელმა.

სვერდლოვსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. მურავიოვმა და ჯავაჰარლალ ნერუმ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ჯავაჰარლალ ნერუმ განაცხადა:

— ჩვენ აქ ჩამოვედით გუშინწინ და დავყავით ერთი დღე და ორი ღამე. მე ვნახე თქვენი დიდი ქარხნები, რომლებთანაც საქმე გვექნება შემდეგში, რადგან აქ დაამზადებენ დიდძალ მოწყობილობას ინდოეთის მეტალურგიული კომბინატისათვის. დიდი მადლობა გულთბილი მიღებისათვის. გთხოვთ გადასცეთ ჩემი საუკეთესო სურვილები და მადლობა ქალაქ სვერდლოვსკის მცხოვრებლებს.

თქვენ ლაპარაკობდით მშვიდობაზე. სავსებით გეთანხმებით, რადგან უმშვიდობოდ შეუძლებელია პროგრესი. ჩვენ კი დაინტერესებული ვართ პროგრესით.

ჯავაჰარლალ ნერუს სიტყვას ტაშით შეხვდა ყველა დამსწრე.

დღეს ლენინგრადს გაემგზავრნენ აგრეთვე ინდოელი ჟურნალისტები, რომლებიც სტუმრად არიან საბჭოთა კავშირში საქდესის მოწვევით.

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ ლენინგრადს ჩავიდა

ლენინგრადი, 19 ივნისი. (საქდესი). დღეს ლენინგრადში ჩამოვიდნენ ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, მისი ქალიშვილი ინდირა განდი და თანმხლები პირები.

ლენინგრადის აეროპორტი მორთული იყო ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. ინდოელ სტუმრებს შეხვდა ლენინის ქალაქის მშრომელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი. შემხვედრთა შორის იყვნენ ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. სმირნოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. რ. კოზლოვი, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. ვორობიოვი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები.

ლენინგრადელები გულთბილად მიესალმნენ ჯ. ნერუს, როცა იგი თვითმფრინავიდან გადმოდიოდა. შესრულებულ იქნა ინდოეთის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. პიონერებმა ჯ. ნერუსა და ინდირა განდის მიართვეს ყვავილების თაიგულები.

ლენინგრადის საქალაქო საბჭოსა და ქალაქის მშრომელთა სახელით ინდოეთის პრემიერ-მინისტრს მიესალმა ნ. სმირნოვი. მან თქვა:

— თქვენი ვიზიტი საბჭოთა კავშირში და ჩვენს ქალაქში ჩვენ მიგვაჩნია იმის დადასტურებად, რომ მტკიცდება მეგობრობა ინდოელ და საბჭოთა ხალხებს შორის, რომ იზრდება ურთიერთგაგება და მყარდება სულ უფრო მჭიდრო კულტურული, მეცნიერული, ტექნიკური და ეკონომიური კავშირ-ურთიერთობა ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო ნერუ! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო სტუმრებო!

საპასუხო სიტყვაში ჯავაჰარლალ ნერუმ განაცხადა:

— ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩამოვედი ლენინგრადში. ჩემთვის სიამაყისა და პრივილეგიის საქმეა ჩამოსვლა ამ ისტორიულ ქალაქში, რომელიც ცნობილია თავისი გმირობით ომის დროს. თქვენ და თქვენს ხალხს მე ჩამოვუტანე ინდოელი ხალხის მისალმება და კეთილი სურვილები!

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა განვითარდეს მეგობრული ურთიერთობა სსრ კავშირისა და ინდოეთის ხალხებს შორის, და დასასრულ მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისათვის საბჭოთა ქვეყანაში.

მანქანების წყება ნელა დაიძრა ქალაქისაკენ. ლენინგრადელები მხურვალედ მიესალმნენ ჯავაჰარლალ ნერუს. ათეულ ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი პროსპექტებსა და სანაპიროებზე, სადაც გაიარა ინდოეთის მთავრობის მეთაურმა, როცა მიდიოდა შენობისაკენ, რომელიც იქნება ჯ. ნერუს რეზიდენცია ლენინგრადში.

ამავე დროს ლენინგრადში ჩამოვიდა ინდოელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც სტუმრად არის სსრ კავშირში საქდესის მოწვევით.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ ლენინგრადში

ლენინგრადი, 19 ივნისი. (საქდესი). დღის მეორე ნახევარში ჯავაჰარლალ ნერუმ და მისმა ქალიშვილმა ინდირა განდიმ ინახულეს ერმიტაჟი. ინდოელმა სტუმრებმა დაათვალიერეს იტალიური, ჰოლანდიური, ფრანგული ხელოვნების დარბაზები.

ინდოეთის XVII-XX საუკუნეების კულტურისა და ხელოვნების გამოფენაზე სტუმრებს ენაზე — ჰინდი — მისასალმებელი სიტყვებით შეხვდა ერმიტაჟის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ტ. ვ. გრეკი.

დღეს ერთ-ერთ დარბაზში გაიხსნა XVI-XX საუკუნეების ინდური მინიატიურების გამოფენა, რომელზეც ექსპონირებულია ერმიტაჟის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის კოლექციების 150-მდე იშვიათი მინიატიურა, შესრულებული სპილოს ძვალზე, ქაღალდსა და მინანქარზე. ჯავაჰარლალ ნერუ იყო ამ გამოფენის პირველი დამთვალიერებელი. დათვალიერების შემდეგ საპატიო სტუმრების წიგნში ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა დატოვა შემდეგი ჩანაწერი:

„ეს დიდებული მუზეუმია, რომელსაც დიდხანს და ყურადღებით უნდა ათვალიერებდე. საწყენია აქ მხოლოდ ერთ ან ორ საათს ყოფნა. მაგრამ ცოტა ხნით ნახვაც ძალიან კარგია. იმედი მაქვს, რომ მომავალში შევძლებ ერთხელ კიდევ ვნახო იგი".

ინდოელმა სტუმრებმა გაიარეს 1812 წლის საპარადო დარბაზებსა და გალერიაში. გერბის დარბაზში მათ დაათვალიერეს ურალის ფერადი ქვებით შესრულებული საბჭოთა კავშირის რუკა.

კოლექციების დათვალიერების შემდეგ ერმიტაჟის დირექტორმა მ. ი. არტამონოვმა ჯავაჰარლალ ნერუსა და ინდირა განდის გადასცა სამახსოვრო ალბომები — მუზეუმში თავმოყრილი სურათების რეპროდუქციები.

შემდეგ ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა მოიარა ქალაქი, შეჩერდა რა სმოლნის ისტორიულ შენობასთან. ლენინგრადელები ყველგან გულთბილად მიესალმებოდნენ ინდოელ სტუმრებს.

საღამოს ჯავაჰარლალ ნერუ, ინდირა განდი და თანმხლები პირები ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში დაესწრნენ ჩაიკოვსკის ბალეტ „მძინარე მზეთუნახავს".

მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის წინ

ჰელსინკი, 19 ივნისი. (საქდესი). მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად აქ ჩამოვიდნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრები: გენერალური მდივანი ჟან ლაფიტი (საფრანგეთი), იზაბელა ბლუმი (ბელგია), ვინჯენტ დანკენ ჯონსი (ინგლისი), პანტელეიმონ გულიაევი (სსრ კავშირი), ლი ი-მანი (ჩინეთი), ფოლიარეზე (იტალია), ალფრედო ვარელა (არგენტინა), ხორხე სალამეა (კოლუმბია).

ვ. მ. მოლოტოვი სან-ფრანცისკოში ჩავიდა

სან-ფრანცისკო, 19 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). გუშინ სან-ფრანცისკოში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ხელმოწერის მე-10 წლისთავის გამო.

ვაგზალში ვ. მ. მოლოტოვსა და სსრ კავშირის დელეგაციის წევრებს შეხვდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს საოქმო განყოფილების უფროსი დენუე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის წარმომადგენელი — სახელმწიფო დეპარტამენტის საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე პერო და ქალაქ სან-ფრანცისკოს წარმომადგენელი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიის მომწყობი საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე რობერტ გროსი.

სან-ფრანცისკოში ჩამოსვლისას ვ. მ. მოლოტოვმა გააკეთა შემდეგი განცხადება:

„მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის, რაც გაუწიეთ საბჭოთა კავშირის აქ ჩამოსულ დელეგაციას.

ნება მიბოძეთ თქვენი მეშვეობით გულითადი სალამი გადავცე სან-ფრანცისკოს მცხოვრებლებს — იმ ქალაქისა, სადაც დაარსდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია".

როცა ვ. მ. მოლოტოვი და საბჭოთა დელეგაციის წევრები ნიუ-იორკიდან სან-ფრანცისკოში მოდიოდნენ, ისინი შეჩერდნენ ჩიკაგოში, სადაც გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს და მთელ რიგ საწარმოებს.

სან-ფრანცისკო, 19 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დაგ ჰამარშელდს.

შეხვედრას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს შენობაში გაიმართა, დაესწრო საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ა. სობოლევი.

ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის პატივსაცემად

სან-ფრანცისკო, 19 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის პატივსაცემად.

იუგოსლავიის მხრივ საუზმეზე იყვნენ: იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კოჩა პოპოვიჩი, იუგოსლავიის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ლეო მატესი, იუგოსლავიის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იოჟე ბრილეი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ფ. პალამარჩუკი, ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ვ. კისელიოვი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში გ. ნ. ზარუბინი და საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ა. სობოლევი.

საუზმეზე იყო აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე ი. ს. ჩერნიშევი.

საუზმემ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ჩოუ ენ-ლაის წერილი სამხრეთ აფრიკის კავშირის ხალხთა კონგრესისადმი

პეკინი, 18 ივნისი. (საქდესი). სამხრეთ აფრიკის კავშირის ხალხთა მომავალ კონგრესთან დაკავშირებით, რომელიც ზანგთა ეროვნული კონგრესის, ინდოეთის ეროვნული კონგრესის, სამხრეთ აფრიკის დემოკრატთა კონგრესისა და სამხრეთ აფრიკის კავშირის ფერადკანიან ხალხთა ორგანიზაციის ინიციატივით მოწვეულია 25 ივნისს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჩოუ ენ-ლაიმ კონგრესის სამდივნოს სახელზე გაგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც ნათქვამია: ჩინელი ხალხის სახელით მხურვალედ მივესალმები სამხრეთ აფრიკის კავშირის ხალხთა კონგრესის მოწვევას და წარმატებას ვუსურვებ კონგრესს სამხრეთ აფრიკის კავშირის სხვადასხვა წარმოშობისა და მოსახლეობის ყველა ფენის ადამიანთა მჭიდროდ დარაზმვის საქმეში, რათა იბრძოლონ რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და მოიპოვონ თავისუფლება და დემოკრატიული უფლებები.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციამ გადაჭრით დაგმო კოლონიალიზმი და რასობრივი დისკრიმინაცია. ჩინელი ხალხი აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნების ხალხებთან და მთელი მსოფლიოს ხალხებთან ერთად კვლავაც დაუჭერს მხარს სამართლიან ბრძოლას, რომელსაც სამხრეთ აფრიკის კავშირის ხალხები ეწევიან.

ჩოუ ენ-ლაის დეპეშა გაიგზავნა ზემოაღნიშნული ორგანიზაციების — კონგრესის მოწვევის ინიციატორების წერილის პასუხად.

დასავლეთის სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისათვის

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. (საქდესი). ამერიკის პრესის ცნობები მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირის დიპლომატიური აქტები, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, უაღრესად გულმოდგინე შესწავლის საგანი იყო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ნიუ-იორკის თათბირზე. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი ჰამილტონი იუწყება, რომ საბჭოთა მთავრობის დიპლომატიური ნაბიჯები სამი მინისტრის თათბირის დღის წესრიგის „პირველი პუნქტი" იყო. გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტი ლოურენსიც აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის უკანასკნელი დიპლომატიური ნაბიჯების განხილვას დასჭირდა სამი მინისტრის თათბირის მეტი წილი დრო. როგორც იუწყება იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მანი, რომელიც იმოწმებს „დიდი თანამდებობის ინფორმირებულ წარმომადგენელს", 16 ივნისის თათბირის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისადმი საბჭოთა ნოტის განხილვას.

სამი საგარეო საქმეთა მინისტრის ნიუ-იორკის თათბირის გამო

ნიუ-იორკი, 18 ივნისი. (საქდესი). გუშინ ნიუ-იორკში დამთავრდა დასავლეთის სამი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. თათბირის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა მოკლე ერთობლივი კომუნიკე, რომელიც შედგენილია საკმაოდ გაურკვეველი გამოთქმებით და არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ვიმსჯელოთ მოლაპარაკების კონკრეტული შინაარსის შესახებ.

როგორც კომუნიკედან ჩანს, მინისტრებმა განიხილეს საბჭოთა კავშირის ამა წლის 13 ივნისის ნოტა სამი სახელმწიფოს მთავრობებისადმი ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის საკითხზე. კომუნიკეში ნათქვამია, რომ „დადგა დრო განხორციელდეს ახალი ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას კონფლიქტის წყაროები" საერთაშორისო ურთიერთობაში.

შემდეგ ნათქვამია, რომ მინისტრები შეხვდნენ კანცლერ ადენაუერს. თვით კომუნიკეში არ არის მოხსენიებული ამ მოლაპარაკების შინაარსი, მაგრამ ამერიკის პრესამ აღნიშნა, რომ განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ადენაუერის მიწვევასთან მოსკოვში.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირამდე მოეწყობა დასავლეთის სამი სახელმწიფოს კონსულტაციები ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სხვა წევრებთან პარიზში.

განსაკუთრებით არის აღნიშნული, რომ დასავლეთის სამ სახელმწიფოს განზრახული აქვს კვლავაც განახორციელონ ეგრეთ „ერთობლივი პოლიტიკა", როგორსაც წინათ ახორციელებდნენ.

ადენაუერი ინგლისს ჩავიდა

ლონდონი, 19 ივნისი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს ლონდონს ჩამოვიდა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანცლერი ადენაუერი. იგი აეროდრომიდან დაუყოვნებლივ წავიდა ჩეკერსში — ინგლისის პრემიერ-მინისტრის საგარეუბნო რეზიდენციაში — იდენთან მოსალაპარაკებლად. ინგლისში ერთ დღეს ყოფნის შემდეგ კანცლერი ადენაუერი ბონში გაემგზავრება.

იდენისა და ადენაუერის მოლაპარაკება

ლონდონი, 19 ივნისი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს ინგლისის პრემიერ-მინისტრ იდენისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანცლერის ადენაუერის მოლაპარაკების შემდეგ გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს მუდამ „უნდა ჰქონდეთ კონტაქტი" დასავლეთ გერმანიის მთავრობასთან.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ გუშინდელი მოლაპარაკების დროს ადენაუერმა გააცნო იდენს, თუ რა მოლაპარაკება ჰქონდა ამერიკის ლიდერებთან. ადენაუერმა და იდენმა განიხილეს აგრეთვე „ოთხი სახელმწიფოს მომავალი თათბირი და საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ნოტა გერმანიის ფედერალური მთავრობისადმი".

დღეს კანცლერი ადენაუერი ბონს გაფრინდა.

გაფრენის წინ ადენაუერმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ფედერალური რესპუბლიკა დაიცავს ხელშეკრულებას ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირისა და დასავლეთ ევროპის კავშირის შესახებ და რომ „ფედერალური რესპუბლიკა დასავლეთის ლოიალური და კეთილი პარტნიორი იქნება".

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სავაჭრო შეთანხმებისა და საგადასახდელო შეთანხმების რატიფიკაცია

1955 წლის 18 ივნისის ბრძანებულებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოახდინა რატიფიკაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო შეთანხმებისა და საგადასახდელო შეთანხმებისა, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ და ხელმოწერილია მოსკოვში 1955 წლის 5 იანვარს.

დამთავრდა ვიოლინისტთა VI საერთაშორისო კონკურსი

პარიზი, 19 ივნისი. (საქდესი). გუშინ დამთავრდა ჟაკ ტიბოს სახელობის ვიოლინისტთა VI საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 11 ქვეყნის 27 ახალგაზრდა ვიოლინისტმა. კონკურსის მესამე, დასკვნით ტურში 8 კაცი დაუშვეს, მათ შორის კონკურსის სამივე საბჭოთა მონაწილე.

პირველი ადგილი და „ჟაკ ტიბოს სახელობის დიდი პრიზი" მიეკუთვნა დევი ერლის (საფრანგეთი), მეორე ადგილი და „ჟინეტა ნევეს სახელობის დიდი პრიზი" — ოლგა პარხომენკოს (სსრ კავშირი), მესამე ადგილი და „ქალაქ პარიზის სახელობის პრიზი" — ედუარდ გრაჩს (სსრ კავშირი), მეოთხე ადგილი — მიშელ ბუსინოს (საფრანგეთი), მეხუთე ადგილი — ლადისლავ იასეკს (ჩეხოსლოვაკია), მეექვსე ადგილი — ვალერი კლიმოვს (სსრ კავშირი), მეშვიდე ადგილი—დოროთი უეიდს (ამერიკის შეერთებული შტატები), მერვე ადგილი მორის ასონს (საფრანგეთი).

პარიზის მუსიკალური საზოგადოებრიობის შეფასებით საბჭოთა ვიოლინისტებმა ცხადყვეს საბჭოთა მუსიკალური სკოლის მაღალი დონე, მათმა გამოსვლებმა კონკურსზე დიდი ინტერესი გამოიწვია.

ავსტრალიის ჯარების მალაიაში გაგზავნის წინააღმდეგ

დელი, 18 ივნისი. (საქდესი). სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის გენერალურმა მდივანმა შ. ა. დანგემ გამოსაქვეყნებლად გადასცა განცხადება, რომელიც გმობს ავსტრალიის ჯარების გაგზავნას მალაიაში სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად.

განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ეს აქტი ცხადყოფს, რომ ავსტრალიელი და ინგლისელი იმპერიალისტები ხელყოფენ ბანდუნგის კონფერენციის პრინციპებს, კონფერენციისა, რომელმაც დაგმო კოლონიურ სახელმწიფოთა პოლიტიკა.

დანგე მოუწოდებს ინდოეთის და აზიის სხვა ქვეყნების მუშათა კლასსა და პროფკავშირებს აღიმაღლონ პროტესტის ხმა ავსტრალიის მთავრობის ამ ნაბიჯის წინააღმდეგ.

ინგლისის ჯარების შეჭრა ომანის სასულთნოს ტერიტორიაზე

კაირო, 18 ივნისი. (საქდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ გრძელდება ინგლისის ჯარების შეჭრა ომანის სასულთნოს ტერიტორიაზე.

გაზეთი „ალ-აჰრამი" წერს, რომ არაბთა ქვეყნების ლიგამ იმამ ჰალებისაგან მიიღო დეპეშა იმის შესახებ, რომ ინგლისის ჯარებმა მოახდინეს ალფუხუდის რაიონის ოკუპაცია, სადაც ინგლისელები აწარმოებენ ნავთობის ძიებას. იმამი ლიგას სთხოვს დახმარებას ამ აგრესიის წინააღმდეგ.

მწვანე კონცხზე გაიხსნა საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დასასვენებელი სახლი 120 კაცისათვის. დასასვენებელი სახლის კომპლექსის ავტორია ინსტიტუტის პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი რ. აგაბაბიანი. **სურათზე:** დასასვენებელი სახლის ხედი.

მ. გორკის ხსოვნის აღსანიშნავად

თბილისის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, წმიდად ინახავენ საბჭოთა ლიტერატურის მამამთავრის, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის მ. გორკის ხსოვნას. 18 ივნისს გორკის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა ტრადიციული საღამო, მიძღვნილი მ. გორკის გარდაცვალების 19 წლისთავისადმი.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა პროფესორმა ს. დანელიამ. მოხსენება „გენიალური პროლეტარული მწერალი მ. გორკი" წაიკითხა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. ჟღენტმა.

გორკისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს კ. ზოზოხიძემ და თ. ჯანგულაშვილმა.

საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახლთან არსებულმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა. შემდეგ ნაჩვენები იქნა დოკუმენტალური ფილმი მ. გორკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

იუგოსლავიის მსახიობები თბილისში

20 ივნისს თბილისში ჩამოვიდნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მსახიობები — მიროსლავ ჩანგალოვიჩი (ბანი), ალექსანდრე მარინკოვიჩი (ტენორი), ვილმა ბუკოვეცი (სოპრანო), ლიუბლიანის მუსიკალური აკადემიის პროფესორი პიანისტი მარიამ ლიპოვშეკი.

იუგოსლავ მსახიობებს აეროდრომზე შეხვდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ი. სხირტლაძე, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ვ. კუპრავა, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორი დ. მჭედლიძე, თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი ვ. კანდელაკი, თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი ი. გვინჩიძე, თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი დ. ანთაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი და სხვები.

იუგოსლავი მსახიობები თბილისში კონცერტს გამართავენ. (საქდესი).

ფეხბურთი

„ა" კლასი

ლენინგრადი. 19 ივნისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე დედაქალაქის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა კოლექტივმა გამართა პირველი წრის უკანასკნელი მატჩი ლენინგრადის „ზენიტთან". 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 1:1.

კუიბიშევი. 19 ივნისი. აქ შედგა XVII ჩემპიონატის მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში სტალინის „შახტიორისა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის 1955 წლის პირველობის გათამაშების პირველი წრე ძირითადად დამთავრდა. 66 შეხვედრიდან შედგა 65 მატჩი. ჩასატარებელი დარჩა მხოლოდ 1 თამაში ლენინგრადის „ზენიტისა" და კიევის „დინამოს" გუნდებს შორის.

პირველ წრეში გაიმარჯვა მოსკოვის „დინამომ", რომელსაც 11 თამაშიდან 17 ქულა აქვს. ლიდერს მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება არმიელ ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელიც მეორე ადგილზეა. დედაქალაქის გუნდებმა „სპარტაკმა" და „ტორპედომ" პირველი წრე თოთხმეტ-თოთხმეტი ქულით დაამთავრეს. ბურთების შეფარდებით მესამე ადგილზეა „სპარტაკი", მეოთხეზე — „ტორპედო". სამ გუნდს— მოსკოვის „ლოკომოტივს", კიევის „დინამოს" და თბილისის „დინამოს" აქვთ თერთმეტ-თერთმეტი ქულა.

„ბ" კლასი

ტაშკენტი. 19 ივნისი. თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა მორიგი შეჯიბრება გამართა ტაშკენტში ადგილობრივ „სპარტაკთან". არმიელმა ფეხბურთელებმა წააგეს მატჩი ანგარიშით 1:2.

დუბლიორთა მატჩი

19 ივნისს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა მოსკოვის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" დუბლიორთა გუნდების პირველი წრის უკანასკნელი შეხვედრა. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 2:1. ამრიგად, თბილისის „დინამოს" დუბლიორთა გუნდმა პირველი წრე დაამთავრა 16 ქულით, მოსკოვის „ტორპედომ" — 7 ქულით.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის შტანგისტთა მეორე ამხანაგური შეხვედრა

18 ივნისს ლენინგრადში გაიმართა მეორე შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის შტანგისტთა ნაკრებ გუნდებს შორის.

ამერიკელმა შტანგისტმა ტომი კონომ (ქვესაშუალო წონა) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ორი ხელით შტანგის აჭიმვაში. მისი შედეგია 132,5 კილოგრამი.

ორი ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს საბჭოთა შტანგისტებმა. თეოდორე ოსიპამ (ქვემძიმე წონა) ორი ხელით აჭიმა 144 კილოგრამი. კონკურსგარეშე გამოსულმა იური დუგანოვმა სარეკორდო შედეგს მიაღწია ორი ხელით შტანგის ატაცში. მისი შედეგია 132,5 კილოგრამი.

საბჭოთა გუნდის წარმომადგენელმა ევგენი ნოვიკოვმა, რომელიც მძიმე წონაში გამოვიდა, გააუმჯობესა საბჭოთა კავშირის რეკორდი ორი ხელით შტანგის აჭიმვაში მან აწევნა შედეგი 152,5 კილოგრამი.

ამერიკელი და საბჭოთა შტანგისტების მეორე შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 11:9 საბჭოთა კავშირის გუნდის სასარგებლოდ. (საქდესი).

უნგრეთის კალათბურთელთა გუნდი — ევროპის ჩემპიონი

19 ივნისს ბუდაპეშტში დამთავრდა ევროპის 1955 წლის პირველობის გათამაშება კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს საბჭოთა კავშირის გუნდმა მოუგო პოლონეთის სპორტსმენებს, ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებმა მოუგეს ბულგარეთის გუნდს, უნგრეთის სპორტსმენებმა — რუმინეთის გუნდს.

ამრიგად, ევროპის პირველობის გათამაშება კალათბურთში დამთავრდა. ჩემპიონის წოდება მოიპოვა უნგრეთის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელთა კოლექტივი, მესამეზე — სსრ კავშირის გუნდი.

სასამართლოს დარბაზიდან

წინათ მსჯავრდადებულმა და შემდეგ ამნისტიით პატიმრობიდან განთავისუფლებულმა 25 წლის სულიკო ილიას-ძე ზაზურაულმა არ ინება გამხდარიყო სოციალისტური საზოგადოებისათვის სასარგებლო მოქალაქე, დაადგომოდა პატიოსანი შრომის გზას. მან მოაწყო ბანდა, ხელი მიჰყო საბჭოთა მოქალაქეების ძარცვასა და მკვლელობას.

ხუთი თვის განმავლობაში პირადად ზაზურაულმა გაძარცვა 50-ზე მეტი მოქალაქე და გაძარცვის მიზნით მოკლა 6 კაცი.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ზაზურაულს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა ქონების კონფისკაციით. განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

ლექცია

21 ივნისს საღამოს 8 საათზე საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის სხდომების დარბაზში (ფურცელაძის ქ. № 1) პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აწყობს საზოგადოების წევრის, მეცნიერებათა კანდიდატის გ. გამსახურდიას საჯარო ლექციას თემაზე: „ა. წულუკიძის ცხოვრება და მოღვაწეობა" (გარდაცვალების 50 წლისთავის გამო).

1955 წლის 24 ივნისს დილის 11 საათზე მოწვეულია გაზეთ „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტთა თათბირი.

რედაქტორი ნ. ჯაში.

დისერტაციების დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8)

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციებს დაიცავენ:

1955 წ. 1 ივლისს დღის 2 საათზე

აკაკი კონდრატეს-ძე სოხაძე

თემაზე: „ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან (რაჭული ბოსლობა)".

დავით ვარლამის-ძე ჯანელიძე

თემაზე: „ირანის საკითხი მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის საგარეო პოლიტიკაში (ნადირ შაჰის სახელმწიფოს დაშლის დროიდან რუსეთ-თურქეთის 1787-1791 წწ. ომამდე)".

1955 წ. 2 ივლისს დღის 2 საათზე

ალექსი ანდრიას-ძე რზიანინი

თემაზე: „Грузинский вопрос во внешней политике Московского государства в первой половине XVII века (1613-1652 г. г.)".

1955 წ. 4 ივლისს დღის 2 საათზე:

ვიქტორ გესას-ძე გუჩუა

თემაზე: „ხიზნობა და ხიზანთა საკითხი საქართველოში".

ეთერ ალექსანდრეს ასული ორჯონიკიძე

თემაზე: „ახალციხის მხარის შემოერთება 1828-1829 წწ".

1955 წ. 5 ივლისს დღის 2 საათზე:

ნინო ნიკოლოზის ასული უზრელიძე

თემაზე: „ძველ საქართველოში მინის წარმოების ისტორიისათვის (მინის ჭურჭელი სამთავროს სამაროვნის IV-VIII ს. ს. სამარხებში)".

დომენტი ლეონტის-ძე ქორიძე

თემაზე: „თბილისის არქეოლოგიური ძეგლები" ნაწ. I (ენეოლითი—გვიანბრინჯაოს პერიოდი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1955 წ."

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული).

დისერტაციების დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

1955 წ. 30 ივნისს, დღის 1 საათზე, № 107 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ალექსანდრე ლავრენტის-ძე ონიანი

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ქართულ-სვანური იდიომატიკის საკითხები".

1955 წ. 30 ივნისს, დღის 3 საათზე, № 107 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ოთარ არტემის-ძე ურიდია

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „გიორგი ერისთავის ენა".

1955 წ. 30 ივნისს, დღის 12 საათზე, № 104 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ლია დავითის ასული გოგბაძე

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „შედგენილი სახელადი შემასმენელი თანამედროვე ინგლისურ ენაში და მისი ეკვივალენტები ქართულში".

1955 წ. 30 ივნისს, დღის 12 საათზე, № 93 აუდიტორიაში ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ვახტანგ ანანიას-ძე გოგუაძე

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Социалистическое преобразование сельского хозяйства народно-демократической Чехословакии".

1955 წ. 30 ივნისს, დღის 1 საათზე, № 105 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ნოდარ ნიკოლოზის-ძე ჯანაშია

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ზემო წალკის თურქული მეტყველების თავისებურებანი".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სამგზავრო სამსახური აცნობებს ყველა სამინისტროს, ორგანიზაციებს, საწარმოებს, სანატორიუმების ხელმძღვანელებს და ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს, რომ ზემდგომი ორგანოების მითითებას საფუძველზე დამტკიცებულია ჯგუფურად გადაყვანისათვის სამგზავრო დოკუმენტების გაფორმების ახალი წესი, რომელიც ძალაშია მიმდინარე წლის 20 ივნისიდან.

1. მგზავრების ჯგუფურად გადაყვანა წარმოებს წინასწარი წერილობითი განაცხადის საფუძველზე. განაცხადი მგზავრთა ჯგუფის გამგზავრებამდე არაუგვიანეს 10 დღისა უშუალოდ უნდა წარედგინოს საქალაქო სადგურის ან გამგზავრების სადგურის ვაგზლის უფროსს.

2. ჯგუფური განაცხადის წარდგენისას გადახდილ უნდა იქნას სპეციალური გამოსაღები თვითეულ დაკვეთილ ბილეთზე თითო მანეთის ოდენობით ფაქტიურად შეძენილი ბილეთების რაოდენობის მიუხედავად.

3. გადაყვანის შესახებ მიღებული და დაგეგმილი განაცხადი უნდა შეასრულოს განმცხადებელმა, ესე იგი უნდა შეიძინოს და გააფორმოს სამგზავრო დოკუმენტები დროულად, მატარებლის გასვლამდე 5 დღით ადრე.

წინააღმდეგ შემთხვევაში დაგეგმილი გადაყვანა და განაცხადი აღრიცხვიდან მოიხსნება და გამოყოფილი ბილეთები გადაცემული იქნება გასაყიდად საერთო წესით.

ჯგუფური გადაყვანის შესახებ ამ ვადაზე უფრო გვიან შეტანილი განაცხადი დაგეგმილი არ იქნება.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სამგზავრო სამსახური

მოქალაქე შოღიკ მარტიროსის ასულმა მოსესოვამ, მცხოვრებმა გოგოლის ქ. № 40, აღძრა საქმე მოქალაქე მარტიროს პეტროსის-ძე მოსესოვთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ოთარ გიორგის-ძე ჭუმბურიძემ, მცხოვრებმა უნივერსიტეტის ქ. № 2, აღძრა საქმე ჯანაშიას ქ. № 4 მცხოვრებ მოქალაქე ელისაბედ ბიქტორის ასულ კანდელაკთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ორჯონიკიძის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები ვლადიმერ, ნიკო, ოლღა, ნადია ოჯახებით იუწყებიან **ნინო ალექსანდრეს ასულ ხუციშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VI სოფ. ჩოჩხათში (ლანჩხუთის რაიონი).

შვილები ელიკო და მერი ოჯახებით იუწყებიან **ფედოსი ნაკაშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VI სოფ. ეწერში (სამტრედიის რაიონი).

დედა ანა, დები ვერა, ნინო, ძმები ვარლამ, გრიშა ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან **შალვა ფარნაოზის-ძე შენგელიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-VI, 8 ს. გამოსვენება 23-VI, 6 ს. ნ. ნიკოლაძის ქ. № 1.

და იულია, შვილები გრიგოლ და ფანია კოლაძეები ოჯახებით იუწყებიან **ტერეზა იორდანეს ასულ გეგეჭკორის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21-VI, 5½ ს. ი. ჭავჭავაძის ქ. № 8.

მეუღლე არუსიაკ, შვილი კონსტანტინე იუწყებიან **ვაგან კონსტანტინეს-ძე გუკასოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21. 22-VI, 8 ს. გამოსვენება 23-VI, 5 ს. მეჩნიკოვის ქ. № 11.

შვილები ოლია, გრიგოლ, გოგოლა ოჯახებით იუწყებიან **ამასტასი ბესარიონის ასულ ლომთათიძე-მამალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VI, 6 ს. დაბა ჩოხატაურში.

მეუღლე ქეთია, შვილები ცაცალა, აზა, თამაზ, ძმა პორფილე ოჯახებით იუწყებიან **დავით სილიბისტროს-ძე გოგეშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VI ქ. მახარაძეში, გამოსვენება ჯორჯიაშვილის ქ. № 42.

მეუღლე თამარ, და ნადია, ძმა ვანო ოჯახებით იუწყებიან ინჟინერ **შალვა ივანეს-ძე ბობოხიძის** გარდაცვალებას გამოსვენება 21-VI, 6 ს. ტრამვაის ქ. № 5.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობის, და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 04231 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.